ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

9

სექტემბერი

თბილისი—1962

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 14 ივლისის № 620 ბრძანება

გორის, ზესტაფონის, გურჯაანის, ორჯონიკიძისა და ლენინგორის რაიონებში მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს მიერ 1962 წლის II კვარტალში გორის, ზესტაფონის, გურჯაანის, ორჯონიკიძისა და ლენინგორის რაიონებში არასრულწლოვან ბავშვთა კომისიების მუშაობის შემოწმებით დადასტურდა, რომ ზემოდასახელებული რაიონების განათლების განყოფილებები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის საქმეს.

ზესტაფონისა და ლენინგორის რაიონების განათლების განყოფილებებთან არსებული არასრულწლოვან ბავშვთა კომისიები ფაქტიურად არ მუშაობენ. ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილებაში აღრიცხვაზე აყვანილია მხოლოდ ერთი უდედმამო ბავშვი, ამ რაიონში მეურვეობაზე აყვანილი ზოგიერთი ბავშვის საქმე განათლების განყოფილებას არ აქვს გაფორმებული. ასე, მაგალითად, სოფ. კლდეეთში მცხოვრები მოქ. ი. ხეცურიანი მეურვეობას უწევს გულო პეტრეს ძე ღონღაძეს, მაგრამ, მეურვეობა განათლების განყოფილების მიერ გაფორმებული არ არის. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი სოფ. ძირულაში მცხოვრებ ნათელა გერონტის ასულ ჭანკვეტაძის მიმართ.

ლენინგორის რაიონის განათლების განყოფილებაში დარღვეულია პატრონირებულ ბავშვებზე და მოზარდებზე ფულადი დახმარების გაცემის დადგენილი წესი. გასაცემ თანხებზე არ დგება სათანადო უწყისები. დახმარების გაცემის შესახებ არ არსებობს აღმასკომის გადაწყვეტილება. არ მოწმდება პატრონირებულ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობები. არაა აღრიცხული, რამდენი ბავშვია

თბილისი

გაშვილებული, მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა სიები არაა დაზუსტებული.

გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებას, ეტყვ აღრიცხული მეურვეობაზე და პატრონატზე აყვანილი ბავშვების მიერ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა, არ წარმოებს პატრონირებულ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატური შესწავლა. პატრონირებულ ბავშვთა პირად საქმეებში არაა ცნობა სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებიდან თუ რა სახის და რა რაოდენობის პენსიას იღებს პატრონირებული. განათლების განყოფილება სათანადო ყურადღებას არ აქცევს უზედამხედველოდ დარჩენილ მოზარდთა სამუშაოზე მოწყობას.

გორის რაიონის განათლების განყოფილება სათანადო მუშაობას არ ატარებს უდედმამო ბავშვთა გამოსავლინებლად.

შემოწმებული რაიონების სკოლის დირექტორები და გამგეები შეუწყნარებელ გულგრილობას იჩენენ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა აღრიცხვისა და მათი საბავშვო დაწესებულებებში მოწყობის საქმეში. ამ რაიონებში, 1961 წლის იანვრიდან დღემდე, არ განხილულა საკითხი რაისაბჭოს აღმასკომების სხდომებზე კომისიების მუშაობის შესახებ. სკოლების მუშაობის საინსპექტორო შემოწმებისას არ ხდება უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მდგომარეობის შესწავლა და საკითხის განხილვა სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოთ გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ორჯონიკიძისა და ლენინგორის განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ზუსტად აღრიცხონ რაიონის ტერიტორიაზე მეურვეობაში მყოფი უდედმამო და გაშვილებული ბავშვები და შეადგინონ თითოეულ ბავშვზე პირადი საქმე;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ ადგილებზე მათი საყოფაცხოვრებო პირობები და მიიღონ საჭირო ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

გ) მეურვეობა, პატრონატი და გაშვილება გააფორმონ თანახმად არსებული ინსტრუქციისა;

დ) სამუშაო გეგმაში გაითვალისწინონ მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა მოწყობის საკითხის შემოწმება და შედეგების განხილვა განათლების საბჭოს სხდომებზე;

ე) სკოლის დირექტორების (გამგეების) საშუალებით შეაგროვონ ცნობები მშობელთა მზრუნველობის გარეშე, უზედამხედველოდ დარჩენილი ბავშვებისა და ხელმოკლე ოჯახის შვილების შესა-

ხებ და იზრუნონ სკოლა-ინტერნატებსა, საბავშვო სახლებსა და მშრომელთა ოჯახებში მათი მოწყობისათვის;

ვ) განათლების განყოფილების მუშაკებიდან ერთ-ერთი დაიროვნონ პატრონატის, მეურვეობისა და გაშვილების საკითხზე.

2. გორის, გურჯაანის, ზესტაფონისა და ლენინგორის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მათ მიერ ამ ბრძანების შესრულების მიზნით ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებითი ბარათები წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს ა/წლის დეკემბრის ბოლომდე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 19 ივლისის № 634 ბრძანება

1962 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების შესახებ

გავეცანი რა მიმდინარე წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოცემულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ პედაგოგიური და ფიზკულტურის ინსტიტუტების კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილების მასალებს, აღვნიშნავ, რომ 1962 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების საქმეში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლის მუშაკებთან ერთად ფართო მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელმა მუშაკებმა. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში მყოფ უმაღლესი განათლების მქონე 1808 ახალგაზრდა სპეციალისტიდან სამუშაოზე განაწილდა 1677, მათ შორის დაწყებითი კლასებისათვის 397. დარჩენილი ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილება გრძელდება.

ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დროულად გამოცხადებისა და ადგილებზე დამაგრების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგემ:

ა) მათ განკარგულებაში მივლინებულ ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დანიშვნა დაამთავრონ მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე:

ბ) მიიღონ ზომები სამუშაოზე ახლად დანიშნულ ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილებზე დროულად გამოცხადებისათვის და უზრუნველყონ თითოეული მათგანი ნორმალური პედაგოგიური დატვირთვით.

2. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სასწავლო წლის დაწყებამდე ორგანიზებულად მოაწყონ დამწყებ მასწავლებელთა გულისხმიერი შეხვედრა და გააცნონ მათ სკოლისა და მასწავლებლის წინაშე მდგომი ახალი ამოცანები;

ბ) განათლების განყოფილების მუშაკებისა და სკოლის დირექტორების დახმარებით უზრუნველყონ ახალგაზრდა სპეციალისტის დროული გამგზავრება სამუშაო ადგილზე;

გ) დამწყებ მასწავლებელთათვის პედაგოგიურ-მეთოდური და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არაქტიკულ საკითხებზე საჭირო დახმარების გასაწევად ფართოდ გამოიყენონ განათლების განყოფილებისა და პედაგოგიური კაბინეტის მუშაკები და სკოლებში მომუშავე დახელოვნებული მასწავლებლები;

დ) დამწყები მასწავლებლები უზრუნველყონ ნორმალური პედაგოგიური დატვირთვით;

ე) მიიღონ საჭირო ზომები, რათა სოფლად მივლინებული მასწავლებლები უზრუნველყონ უფასო ბინით, უფასო გათბობითა და განათებით;

ვ) დაწყებით კლასებში მასწავლებლებად პირველ რიგში დანიშნონ მათ განკარგულებაში მივლინებული (დაწყებითი განათლების ფაკულტეტის კურსდამთავრებული) უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტები.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიმდინარე წლის 25 სექტემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზურის მიღების შესახებ დასტური და წერილობითი ანგარიში თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ;

ამავე რიცხვისათვის წარმოადგინონ დამწყებ მასწავლებლებთან ჩატარებული მუშაობის შესახებ წერილობითი ინფორმაცია;

ბ) მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე აცნობონ უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების რექტორებს თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ.

ამავე რიცხვისათვის გადმოუგზავნონ მათ სამუშაოზე გამო-

ცხადებულ ახალგაზრდა სპეციალისტის საგზურის მიღების შესახებ დასტური.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. ნ. ჭახრაკია) დაავალოს უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების რექტორებს უზრუნველყონ ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დროულად გამოცხადება.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე):

ა) მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე დაამთავროს დარჩენილ 131 ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე განაწილება;

ბ) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგები მომახსენოს პერიოდულად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 18 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 20 ივლისის № 640 ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიის მუშაობაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ დარღვევებსა და დანაშაულებრივ მოქმედებებს:

საბაზო მაღაზიის თბილისის საქმიანი ეზოს გამგემ გ. მედულაშვილმა, 1962 წლის 29 აპრილს კაჭრეთის საშუალო სკოლის სახელზე გამოწერილი ფაქტურით მიითვისა პირადი სარგებლობისათვის დახერხილი ხის მასალა 3,5 m^3, მორი 1,4 m^3, ლითონის ბადე 100 კვ. მეტრი და სხვა, სულ 280 მანეთად ღირებული. ამას გარდა მას საწყობის აღწერისას დააკლდა 79 მან. ღირებული სხვადასხვა სამშენებლო მასალა. ამგვარად, გ. მედულაშვილის მიერ მითვისებული და დანაკლისი მასალების ღირებულება ერთად შეადგენს 360 მანეთს.

ადგილი ჰქონდა 1959, 1960 და 1961 წლებში საქმიანი ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებზე 1829 მანეთის სამუშაოების ზედმეტად მიწერას, რომელსაც სამეურნეო წესით აწარმოებდა გ. მედულაშვილი. გაცემულ ხელფასზე 8824 მანეთის ოდენობით არ არის ფულის მიმღების მისამართები, პასპორტის ნომრები, და სხვა, რის შედეგად არც სათანადო დარიცხვებია გაკეთებული გაცემულ ხელფასზე.

დარღვევებს ჰქონდა ადგილი აგრეთვე თვალსაჩინო იარაღ-ხელსაწყოთა საბაზო მაღაზიის სოხუმის ფილიალში (გამგე ი. ეფრემაშვილი). ხელსაწყო-იარაღების გაცემისას დაწერილია ფასი ცვლადი ტევადობის კონდენსატორზე 80 მანეთი, ნაცვლად მისი ფაქტიური ღირებულებისა 15 მან. და 90 კაპ. ტრანსფორმატორზე 112 მან. 70 კაპ. ნაცვლად 102 და 30 კაპ., თერმოგრაფზე 205 მან. ნაცვლად 201 მან. და 30 კაპიკისა და სხვა.

ცენტრალიზებული წესით სასწავლო მოწყობილობისათვის გამოყოფილი თანხებით შეძენილი ხელსაწყო-იარაღების უშუალოდ

სკოლებზე გადაცემის ნაცვლად აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრო მინდობილობებს აძლევდა რესპუბლიკის პედაგოგიური კაბინეტის გამგეს ს. შეკიშვილს ფილიალიდან სასწავლო მოწყობილობის მისაღებად და არ უწევდა კონტროლს მოწყობილობის დანიშნულებით გამოყენებაზე. ამ წესით ს. შეკიშვილის მიერ 1960—1961 წლებში მიღებულია 132.542 მანეთის სასწავლო მოწყობილობა, აქედან სამინისტროს ბუხჰალტერიაში გაუტარებელი მინდობილობებით—26.031 მანეთის, მათ შორის ყალბი მინდობილობებით —16.031 მანეთის.

სარგებლობდა რა სამინისტროს ნდობით იგი უხეშად არღვევდა სახელმწიფო ქონების შენახვისა და გამოყენების წესებს და წლების განმავლობაში გადანახული ჰქონდა სკოლისათვის საჭირო ძვირფასი ხელსაწყო-იარაღები (მაგნიტოფონი, ტელევიზორი, რადიომიმღები, ფოტო აპარატი, საკერავი მანქანა, ტელესკოპი, ჭოგრიტები და სხვა) საკუთარ ბინაზე და არაოფიციალურ ადგილზე.

დადგინდა, რომ შეკიშვილი მასზე გამოწერილ საქონლის ნაწილს ტოვებდა ფილიალში, რის გამო საწყობში აღმოჩნდა გაუტანელი 10.629 მანეთის სასწავლო მოწყობილობა. მიღებული საქონლის ნაწილს შეკიშვილი ანაწილებდა სკოლებზე, ხოლო ფაქტურებს სწერდა ფილიალის გამგე ი. ეფრემაშვილი; უმრავლეს შემთხვევაში შეკიშვილის მიერ ფილიალიდან მიღებული საქონელი, რომელსაც შემდგომ სკოლებზე სცემდა ი. ეფრემაშვილი, სახეობის მიხედვით არ ედრება ერთი-მეორეს. არის შემთხვევები, როდესაც შეკიშვილს არ ჰქონდა ფილიალიდან მიღებული ესა თუ ის სასწავლო მოწყობილობა ან მასალები და გაცემულია ფაქტურით სამინისტროზე, ასე მაგალითად, 303 მანეთის ღირებულების ქაღალდი მიეცა აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს, მაშინ როდესაც ასეთი მას ფილიალიდან მიღებული არ ჰქონდა.

რიგ შემთხვევაში ცენტრალიზებული თანხები გამოყენებულია არადანიშნულებით. თვით აფხაზეთის განათლების სამინისტროს ამ თანხების ანგარიშზე ფილიალიდან მიღებული აქვს საბეჭდი მანქანა, მაგნიტოფონი, კინოგადამღები აპარატი, კომუტატორი და სხვა; სულ 1979 მან. ღირებულებით.

აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს მთ. ბუხჰალტერი —ო. კარაკერიანი არ უწევდა კონტროლს ცენტრალიზებული თანხებით შეძენილ სასწავლო მოწყობილობის სკოლებზე გაცემის საბუთების სისწორეს, შემოწმების გარეშე ღებულობდა წარმოდგენილ გაუფორმებელ საბუთებს, არ ატარებდა გაცემულ მინდობილობებს

რეგისტრაციაში და არ მოითხოვდა ანგარიშებს მინდობილობებით მიღებულ საქონელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაულებრივ მოქმედებებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე თბილისის საბაზო მაღაზიაში. აღწერის შედეგად ქიმიური ჭურჭლის სექციას (გამგე რ. ბრინზიანი) აღმოაჩნდა საქონლის მეტობა 869 მანეთის; დანაკლისი ფიზიკის სექციას (გამგე ვ. ბრეგვაძე)—36 მან; საწარმოო და სპორტულ სექციას (გამგე ა. წერეთელი)—51 მან; ქიმიური რეაქტივების სექციას (გამგე ა. გაბოევა) მეტობა 29 მან. მასვე აქვს 5 ლიტრი ღვინის სპირტის მეტობა და კერძო პირებზე 70 კლგ. შაბიამნის გაცემა, მაშინ როდესაც შაბიამანი ბუხჰალტერიაში შემოსავალშიაც კი არ იყო აღებული.

საბაზო მაღაზიის მიერ დიდი რაოდენობით არის ჩამოწერილი შესაფუთი ქაღალდი. მარტო 1961 წელს ჩამოწერილია 10.690 კგ.; მაშინ, როდესაც ფილიალებს სრულიად არ მიუღიათ ასეთი.

დიდი რაოდენობით ხდებოდა დამტვრეული მინის ჭურჭლის ჩამოწერა, რომელიც არ ფორმდებოდა სათანადო წესით.

სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე შედგენილი ცალმხრივი აქტებით მარტო 1961 წელს ჩამოწერილია 376 მანეთის ღირებულების ქიმიური ჭურჭელი.

არასწორად ჩატარდა 1961 წელს ბათუმის ფილიალის (ყოფილი გამგე ვ. ხინთიბიძე) და საბაზო მაღაზიის ფიზიკის სექციის სასწავლო მოწყობილობათა ინვენტარიზაცია, რის შედეგად არ იქნა გამოვლინებული ბათუმის ფილიალში ფაქტიურად არსებული 3.680 მანეთის დანაკლისი, ხოლო ბაზის ფიზიკის სექციაში ამავე თანხის მეტობა.

საბაზო მაღაზიასა და მის ფილიალებში გამოვლინებული დარღვევები და დანაშაულებრივი მოქმედებანი იმის შედეგია, რომ ამ მაღაზიის გამგე გ. თაბუკაშვილი შეეგუა ნაკლოვანებებს, ხოლო სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველო (უფროსი ს. არველაძე) მის მუშაობაზე არ ახორციელებდა სათანადო კონტროლს.

ნაცვლად კონტროლის განხორციელებისა მომარაგების სამმართველოს მუშაკმა (ა. ჯიბუტი) 1960 წელს მიიღო საბაზო მაღაზიის საქმიანი ეზოდან 0,5 m^3 დიქტი და 1,5 m^3 დახერხილი ხის მასალა, რომლის ღირებულება 87 მანეთი დღემდე არ აქვს დაფარული.

არ იყო დაწესებული სათანადო კონტროლი სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ა. კვაჭაძე) და ცენტრალური

ბუხჰალტერიის (ბუხჰალტერი დ. ყარაშვილი) მიერ ცენტრალიზებული თანხების მიზანდანიშნულების ხარჯვაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გ. თაბუკაშვილი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიის გამგე, რომელიც შეეგუა მუშაობაში ნაკლოვანებებს და დარღვევებს, არ ღებულობდა საჭირო ზომებს სექციების საქმიანი ეზოებისა და ფილიალების მუშაობაში არსებულ დანაშაულებრივ მოქმედებათა წინააღმდეგ—მოიხსნას თანამდებობიდან.

2. გ. მედულაშვილის—თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიის თბილისის საქმიანი ეზოს ყოფილი გამგის საქმე სამშენებლო ბასალების მიღებისა და შესრულებულ სამუშაოებზე მიწერების შესახებ გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს.

3. რ. ბრინზიანი—საბაზო მაღაზიის ქიმიური ჭურჭლის სექციის გამგე, საწყობში ინვენტარიზაციის არასწორად ჩატარებისა და ქიმიური ჭურჭლის 869 მანეთის ოდენობის ზედმეტობისათვის მოიხსნას თანამდებობიდან, ხოლო ზედმეტად აღმოჩენილი საქონელი აღებული იქნას შემოსავალში.

4. ი. ეფრემაშვილი—საბაზო მაღაზიის სოხუმის ფილიალის გამგე და ს. შეკაშვილი—აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიური კაბინეტის გამგე, რომლებმაც დაუშვეს ყალბი დოკუმენტების შედგენის გზით 16.0 ათასი მანეთის ღირებულების საქონლის მიღება და წლების მანძილზე გადამალვა მოიხსნან სამუშაოდან და მათი საქმე გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს.

6. ო. კარაკერიანი—აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს მთავარი ბუხჰალტერი ცენტრალიზებული თანხების არადანიშნულებით გამოყენებისა და მიღებული და გაცემული სასწავლო მოწყობილობის აღურიცხველობისათვის მოიხსნას თანამდებობიდან.

7. ვ. ბრეგვაძე—საბაზო მაღაზიის ფიზიკის სექციის გამგე დანაკლისის დაშვებისათვის გადაყვანილი იქნეს რიგით სამუშაოზე.

8. ა. წერეთელს—საწარმოო სწავლების და სპორტულ მოწყობილობათა სექციის გამგეს და ა. აბოევას—ქიმიური რეაქტივების სექციის გამგეს, პირველს 51 მანეთის დანაკლისისათვის, ხოლო მეორეს 29 მანეთის ზედმეტობისა და შაბიამნის კერძო პირებზე გადაცემისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

9. ვ. ხინთიბიძე—თბილისის თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიის ბათუმის ფილიალის ყოფ. გამგე, ამჟამად საბაზო მაღაზიის სექციის გამგე, 1961 წელს ბათუმის ფილიალში ჩატარებული არასწორი ინვენტარიზაციისათვის, რის შედეგად არ

იყო გამოვლინებული ფაქტიურად არსებული დანაკლისი 3.7 ათასი მანეთის ოდენობით, მოიხსნას სამუშაოდან.

10. ა. ჯიბუტი—მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოს ინსპექტორი 1960 წ. ქვემდებარე ორგანიზაციიდან ნაქონლის მიღებისათვის ღირებულების გადაუხდელად, განთავისუფლებულ იქნას დაკავებულ თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გამოყენებით. წინადადება მიეცეს მასვე დაუყოვნებლივ დაფაროს მიღებული მასალების ღირებულება.

11. ს. არველაძეს—განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოს უფროსს, საბაზო მაღაზიის და მისი ფილიალების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაზე საჭირო კონტროლის გაუწევლობისათვის გამოეცხადოს საყვედური.

მიქცეული იქნეს ამხ. ს. არველაძის ყურადღება საბაზო მაღაზიის მიმართ და განსაკუთრებული ზომები იქნეს მიღებული საბაზო მაღაზიის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

12. დაევალოს სამინისტროს სარევიზიო ჯგუფის უფროსს ამხ. ვ. ბოკუჩავას 10 დღის ვადაში შეისწავლოს და წარმოუდგინოს კოლეგიას განსახილველად სამინისტროს იმ რევიზორების საკითხი, რომლებმაც ჩაატარეს 1962 წელს საბაზო მაღაზიისა და მისი ფილიალების საქმიანობის შემოწმება-რევიზია და არ გამოავლინეს იქ არსებული დარღვევები.

13. აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრო (ბ. ტარბა) სრულ უყურადღებობას იჩენდა ცენტრალიზებულ თანხებით შეძენილი სასწავლო მოწყობილობის განაწილებისა და დანიშნულებით გამოყენებაზე, რამაც ხელი შეუწყო გამოვლინებულ დარღვევებსა და დანაშაულებრივ მოქმედებებს.

დაევალოს ამხ. ბ. ტარბას მიიღოს საჭირო ზომები, რომ შემდგომში არ იქნეს დაშვებული მსგავსი მოვლენები.

14. დაევალოს საქალაქო და რაიონულ საბჭოს აღმასკომების განათლების განყოფილებების გამგეებს სისტემატურად შეამოწმონ ხელსაწყო-იარაღების სკოლებში მიღების, მოვლისა და გამოყენების მდგომარეობა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ მიიღონ საჭირო ზომები.

15. დაევალოს კომისიას ს. არველაძის (თ-რე), ა. ღადუას, დ. ყარაშვილის, დ. დუდუჩავას შემადგენლობით 20 დღის ვადაში შეისწავლონ საბაზო მაღაზიის თბილისის და ქუთაისის საქმიანი ეზოების არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი, გადახედონ საბაზო მაღაზიის დებულებას და თავისი დასკვნა წარმოუდგინონ კოლეგიას.

16. დაევალოს სამინისტროს სარევიზიო ჯგუფს (ამხ. ვ. ბო-

კუჩავა) ჩაატაროს 1962 წელს საბაზო მაღაზიის ფილიალების, საქმიანი ეზოების და ბაზის ქიმიური ჭურჭლის სექციის დოკუმენტური რევიზია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17. საბაზო მაღაზიის გამგემ დ. კომლაძემ:

ა) კატეგორიულად აკრძალოს კერძო პირებზე საქონლის გაყიდვა და შემოიღოს საქონლის საცალო აღრიცხვა;

ბ) ცენტრალიზებული თანხების ანგარიშზე ხელსაწყო-იარაღების გაცემა აწარმოოს მხოლოდ სკოლებზე.

18. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) და ცენტრალურმა ბუხჰალტერიამ (დ. ყარაშვილი) მკაცრი კონტროლი განახორციელონ ყველა სახის ცენტრალიზებული თანხების მიზანდანიშნულებისამებრ ხარჯვაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 18 ივლისის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
23 ივლისი 1962 წელი.

სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს დებულება

1. ზოგადი დებულებანი

1. სასწავლო-საწარმოო სახელოსნო მოქმედებს „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე.

2. სასწავლო-საწარმოო სახელოსნო იხსნება საქართველოს სს რესპუბლიკის აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებით და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით საწარმოო სწავლებისათვის სათანადო ბაზების უქონლობის შემთხვევაში და მომსახურებას უწევს ერთ ან რამდენიმე საწარმოოსწავლებიან ზოგადსაგანმანათლებლო შრომით პოლიტექნიკურ საშუალო სკოლას.

3. სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო და მისი საამქროები (საზეინკლო, სადურგლო, სამკერვალო და სხვა) გაიხსნება ზემდგომი ორგანოს მიერ სკოლის მოსწავლეთა პროფესიული მომზადებისათვის დადგენილი პროფილების შესაბამისად.

4. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს ძირითად ამოცანას შეადგენს საწარმოოსწავლებიანი სკოლების მე-9-11 კლასების მოსწავლეების მომზადება კვალიფიციურ მუშებად სახალხო მეურნეობის შესაფერის დარგებში გამოსაყენებლად სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების პერსპექტიული გეგმის შესაბამისად.

5. მოსწავლეები სასწავლო-საწარმოო სახელოსნოში მეცადინეობენ სკოლის დირექტორთან შეთანხმებული კალენდარული ცხრი-

ლის მიხედვით, სასწავლო საწარმოო სახელოსნოში მოსწავლეთა თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას ახორციელებენ სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებით.

6. სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებისათვის გამოყოფილი სათავსოები უნდა აკმაყოფილებდეს სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო ინსპექციის მიერ დამტკიცებულ სანიტარულ-ტექნიკურ ნორმებს.

7. სასწავლო-საწარმოო სახელოსნო თავის საქმიანობას წარმართავს სათანადო რაიონის (ქალაქის) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომების მიერ დამტკიცებული ყოველთვიური საწარმოო-საფინანსო გეგმის მიხედვით: ამ გეგმის შესაბამისად სახელოსნო იწვევს საჭირო რაოდენობით ინჟინერ-ტექნიკოსებს და კვალიფიციურ მუშებს.

8. სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის ინჟინერ-ტექნიკოსებისა და კვალიფიციური მუშების (ინსტრუქტორების) შრომის ანაზღაურებას კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით და დადგენილ ვადებში აწარმოებს სკოლების მიერ სათანადო ანგარიშების საფუძველზე გადმორიცხული თანხებიდან.

9. სასწავლო-საწარმოო სახელოსნო მოსწავლეთა შრომის ანაზღაურებას პროფესიული სწავლების პერიოდში მათ მიერ შექმნილ ვარგის პროდუქციაზე ახდენს მოქმედი ტარიფების მიხედვით.

10. სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები, მათი საწარმოო-საფინანსო გეგმების შესაბამისად მარაგდებიან ფონდირებული ნედლეულითა დ აგრეთვე დამკვეთი ორგანიზაციების მიერ მიწოდებული მასალებით.

სახელოსნოებს ფონდირებული ნედლეულით ამარაგებენ საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბილისის განათლების განყოფილებები.

11. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების ფონდირებული მასალებით გამოშვებული პროდუქცია ხმარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, სკოლამდელი აღზრდისა და სხვა დაწესებულებათა საჭიროებას. დამკვეთის მასალით გამოშვებული პროდუქცია მიეცემა დამკვეთ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

12. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მიერ გამოშვებული

პროდუქციის რეალიზაცია წარმოებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეშვეობით.

13. სასწავლო-საწარმოო სახელოსნო იმყოფება სრულ სამეურნეო ანგარიშზე ან სპეციალურ სახსრებზე და სარგებლობს იურიდიული პირის ყველა უფლებით. სახელოსნოს ეხსნება სათანადო ანგარიში სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში.

14. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს გამგე ინიშნება და თავისუფლდება საქართველოს სსრ, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგის მიერ, სათანადო რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების წარდგენით;

სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს გამგის თანამდებობაზე ინიშნებიან უმაღლესი სპეციალური განათლებისა და წარმოებაში მუშაობის არა ნაკლები 3 წლის გამოცდილების მქონე მუშაკები;

სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს ბუხჰალტრის, საამქროს გამგისა და ოსტატების (კვალიფიციური ხელოსნების) თანამდებობაზე სათანადო პირები ინიშნებიან და თავისუფლდებიან რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების მიერ—სახელოსნოს გამგის წარდგენით.

15. სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს აქვს საკუთარი შტამპი და ბეჭედი.

II. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს სახსრები

16. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს ძირითად სახსრებს შეადგენს:

ა) საწესდებო ფონდი დამტკიცებული გარკვეული თანხის ოდენობით, რაც შეიძლება გადიდდეს ან შემცირდეს სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით;

ბ) ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა სახსრები, ხოლო სპეციალურ სახსრებზე მყოფი სახელოსნოებისათვის—ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად სათანადო ბიუჯეტით ასიგნებული თანხები;

გ) სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს მიერ საწარმოო-საფინანსო გეგმის შესაბამისად [illegible] პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგება;

დ) სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების [illegible] საშუალებები, რომლებიც გამოეყოფათ მათ, [illegible] დეპუტატების

საბჭოების აღმასკომების მიერ, როგორც სახელოსნოს მოგებიდან, ისე ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნობებიდან;

ე) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბალანსზე გამოყოფილი ფონდირებული მოწყობილობები (ჩარხები, დაზგები, ხელსაწყო-იარაღები და სხვა სასწავლო ინვენტარი), აგრეთვე საქართველოს სსრ უწყებების მიერ მათზე გადაცემული მოწყობილობანი;

ვ) სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება ხმარდება, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულების შესაბამისად, სახელოსნოს სასწავლო-მატერიალური ბაზის გაძლიერებას (კაპიტალური რემონტი, ახალი მშენებლობა, მოწყობილობათა, დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა), სკოლების მატერიალური ბაზის გაძლიერებას და მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციას, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად.

III. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს ხელმძღვანელობა

17. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სასწავლო საწარმოო სახელოსნოს სათავეში დგას სახელოსნოს გამგე.

18. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს გამგეს ევალება:

ა) ერთმმართველობის უფლებით განაგოს სახელოსნოს მთელი საქმიანობა, მისი ოპერატიული მუშაობა, მატერიალური და ფინანსიური მხარე, დადოს სამეურნეო ხასიათის ხელშეკრულებები და გარიგებები ყველა სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და საჭირო შემთხვევაში ცალკე პირებთან;

ბ) განაგოს სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს ფულადი და მატერიალური ფასეულობანი დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების მიხედვით;

გ) მიიღოს და დაითხოვოს მუშები და მოსამსახურეები დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების მიხედვით;

დ) ხელი მოაწეროს ჩეკებზე, ფულის ანგარიშებსა და ფაქტურებზე, გასცეს აკრედიტივები და მინდობილობები;

ე) აღძრას სარჩელი სასამართლოსა და არბიტრაჟში, დაიცვას სახელოსნოს ინტერესები ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

ვ) შეადგინოს სახელოსნოს საწარმოო-საფინანსო გეგმები;

ზ) აწარმოოს დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხ-

ვების მიხედვით კაპიტალური მშენებლობა, რეკონსტრუქცია და შენობა-ნაგებობის, დანადგარებისა და მანქანა-იარაღების რემონტი, უზრუნველყოს სახელოსნოს ქონების დაცვა და ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება.

თ) უზრუნველყოს სასწავლო პროგრამების შესაბამისად მოსწავლეთა პროფესიული მომზადება და სახელოსნოს საწარმოო გეგმის შესრულება;

ი) იზრუნოს სახელოსნოში დამზადებული პროდუქციის რეალიზაციისათვის;

კ) უზრუნველყოს უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების გატარება.

IV. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს ანგარიშგება

19. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს საოპერაციო წელი წესდება ყოველი წლის 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

20. სასწავლო-საწარმოო სახელოსნო დამოუკიდებლად აწარმოებს ანგარიშსწორებას და ანგარიშგებას დადგენილი სისტემისა და ფორმების მიხედვით.

21. სასწავლო-საწარმოო სახელოსნო ანგარიშებსა და ბალანსებს უდგენს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას და სათანადო ზემდგომ ორგანოებს დაწესებული ფორმებითა და დადგენილ ვადებში.

V. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს რევიზია

22. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს რევიზიას აწარმოებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება ან სათანადო უფლებამოსილი ორგანოები.

VI. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს ლიკვიდაცია

23. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს ლიკვიდაცია ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებით და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის გადაწყვეტილებით.

24. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს ლიკვიდაციის წესს და სალიკვიდაციო კომისიის შემადგენლობას დააწესებს საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი.

25. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ყველა საშუალება, როგორც ქონება, აგრეთვე მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობა, კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ, გადაეცემა სკოლებს საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების განკარგულების საფუძველზე.

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“ ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უ. ობოლაძე
31 ივლისი 1962 წელი

ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ

მუშა ახალგაზრდობის საშუალო ხკოლების IX—XI კლასებისათვის 1962—1963 სასწავლო წელი

№№ რიგზე	საგნების დასახელება	კვირეული საათების რაოდენობა კლასების მიხედვით			
		მე-9	მე-10	მე-11	სულ მე-9-11 კლ.
1	ქართული ენა და ლიტერატურა . .	3	3	3	9
2	რუსული ენა და ლიტერატურა . . .	2	2/3	2	6,5
3	მათემატიკა	3	4	4	11
4	ისტორია	2	2	3[1]	7
5	გეოგრაფია	1	1	—	2
6	ბიოლოგია	1	—	—	1
7	ფიზიკა	2	2	3	7
8	ასტრონომია	—	—	0/1	0,5
9	ქიმია	2	2/1	2/1	5
10	უცხო ენა	2/1	1	1	3,5
11	ხაზები	0/1	1	—	1,5
	სულ	18	18	18	54
	საკონსულტაციო საათების რაოდენობა	2	2	2	6
	სულ	20	20	20	60

1. აქედან ერთი საათი დაეთმობა პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების შესწავლას.

ამ სასწავლო გეგმით 1962/63 სასწავლო წელს იმუშავებენ მუშა ახალგაზრდობის სკოლების IX—X კლასები, ხოლო 1963/64 სასწავლო წელს X—XI კლასები. ამრიგად, მუშა ახალგაზრდობის სკოლების გამოშვება 1962—63 სასწავლო წელს არ მოხდება.

მუშა ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო გეგმა კვირაში ითვალისწინებს 18 სასწავლო და 2 საკონსულტაციო საათს.

მე-9—მე-11 კლასებში შეიძლება შემოღებულ იქნას დამატებით ფაკულტატური მეცადინეობა უცხო ენაში კვირაში 2 საათის რაოდენობით, თუ სკოლას ჰყავს მოსწავლეთა სათანადო კონტინგენტი და საგნის კვალიფიციური მასწავლებელი.

სკოლების მუშაობის პირობების მიხედვით სასწავლო მეცადინეობა შეიძლება ტარდებოდეს კვირაში 3 ან 4 დღეს.

მუშა ახალგაზრდობის სკოლებში 36 სასწავლო კვირაა.

სასწავლო წლის პირველი ნახევრის ხანგრძლიობა 17 სასწავლო კვირაა (1-ლი სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე), მეორე ნახევრისა—19 (10 იანვრიდან 25 მაისამდე).

მუშა ახალგაზრდობის სკოლებში ტარდება მხოლოდ საზამთრო არდადეგები—31 დეკემბრიდან 9 იანვრამდე ჩათვლით.

სასწავლო მეოთხედების დაწყებისა და დამთავრების ვადები იგივეა, რაც მასობრივ სკოლებში.

ამასთანავე საჭიროა გათვალისწინებულ იქნას, რომ ისტორიისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან:

IX—X—XI კლასებში სასწავლო წლის მეორე ნახევარში ისწავლება საქართველოს ისტორია, რისთვისაც განკუთვნილია კვირაში თითო საათი.

IX კლასში სასწავლო წლის მეორე ნახევარში კვირაში თითო საათი ეთმობა ახალ ისტორიას.

XI კლასში სასწავლო წლის პირველ ნახევარში კვირაში ერთი საათი დათმობილი აქვს საზღვარგარეთის ქვეყნების უახლეს ისტორიას.

გარდა ამისა, X კლასში გეოგრაფიისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან 15 საათი ეთმობა საქართველოს გეოგრაფიას.

Утверждаю
Зам. Министра просвещения
Грузинской ССР
У. Оболадзе
31 июля 1962 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПЕРЕХОДНЫЙ УЧЕБНЫЙ ПЛАН

Для IX—XI классов русской средней школы рабочей молодежи на 1962/63 уч. год

№№ пп.	Предметы	Количество часов в неделю по классам			
		IX	X	XI	Всего
1	Русский язык и литература	3	3/4	3	9,5
2	Грузинский яз. и литерат.	2	2	2	6
3	Математика	3	4	4	11
4	История	2	2	3[1]	7
5	География	1	1	—	2
6	Биология	1	—	—	1
7	Физика	2	2	3	7
8	Астрономия	—	—	0/1	0,5
9	Химия	2	2/1	2/1	5
10	Иностранный язык	2/1	1	1	3,5
11	Черчение	0/1	1	—	1,5
	Итого	18	18	18	54
	Число часов консультаций	2	2	2	6
	Всего часов	20	20	20	60

По настоящему учебному плану в 1962/63 учебному году будут работать IX—X классы школ рабочей молодежи, а в 1963/64 учебном году X—XI классы. Таким образом, в 1962—63 учебном году в школах рабочей молодежи выпуска не будет.

Учебным планом школ рабочей молодежи предусмотрено 18 учебных и 2 консультационных часа в неделю.

В IX, X, XI классах возможно введение дополнительного

[1]. Отсюда один недельный час отводится изучению основ политических знаний.

факультативного занятия по иностранному языку, из расчета в неделю 2 часа, при условии надлежащего контингента учащихся, если школа имеет квалифицированного учителя по данному предмету.

Соответственно условиям работы школ, учебные занятия могут проводиться 3 или 4 дня в неделю.

В школах рабочей молодежи 36 учебных недель.

Продолжительность первой половины учебного года составляет 17 учебных недель (с 1 сентября до 30 декабря). Второй половины—19 учебных недель (с 10 января до 25-го мая).

В школах рабочей молодежи проводятся только зимние каникулы с 31 декабря по 9 января включительно.

Время начала, окончания и продольжительности учебных четвертей в школах рабочей молодежи то же, что и в массовых школах.

Необходимо учесть, что из общего количества часов, отведенных на историю:

В IX классе во II полугодии на изучение новой истории, отводится один недельный час;

В XI классе в I полугодии на изучение новейшей истории зарубежных стран отводится один недельный час;

В IX—X—XI классах во II полугодии на изучение истории Грузии отводится один час в неделю.

Из общего количества часов, отводимых на изучение географии в X классе, 15 часов уделяется географии Грузии.

„Утверждаю"
Зам. Министра просвещения
Грузинской ССР
У. Оболадзе
31 июля 1962 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПЕРЕХОДНЫЙ УЧЕБНЫЙ ПЛАН

Для IX—XI классов Армянской и Азербайджанской средней школы рабочей молодежи на 1962/63 учебный год

№№ пп.	Предметы	Количество часов в неделю по классам			
		IX	X	XI	Всего
1	Родной язык и литература	2/3	3	3/2	8
2	Грузинский язык и литература	1	1	1	3
3	Русский язык и литература	2	2	2	6
4	Математика	3	3/4	3/4	10
5	История	2	2	3[1]	7
6	География	1	1	—	2
7	Биология	1	—	—	1
8	Физика	2	2	3	7
9	Астрономия	—	—	0/1	0,5
10	Химия	2	2/1	2/1	5
11	Иностранный язык	1	1	1	3
12	Черчение	1/0	1	—	1,5
	Итого	18	18	18	54
	Число часов консультаций	2	2	2	6
	Всего	20	20	20	60

По настоящему учебному плану в 1962/63 учебном году будут работать IX—X классы школ рабочей молодежи, а в 1963/64 учебном году X—XI классы. Таким образом, в 1962—63 учебном году в школах рабочей молодежи выпуска не будет.

Учебным планом школ рабочей молодежи предусмотрено 18 учебных и 2 консультационных часа в неделю.

---

[1]. Отсюда один недельный час отводится изучению основ политических знаний.

В IX, X, XI классах возможно введение дополнительного факультативного занятия по иностранному языку, из расчета в неделю 2 часа, при условии надлежащего контингента учащихся, если школа имеет квалифицированного учителя по данному предмету.

Соответственно условиям работы школ, учебные занятия могут проводиться 3 или 4 дня в неделю.

В школах рабочей молодежи 36 учебных недель.

Продольжительность первой половины учебного года составляет 17 учебных недель (с 1 сентября до 30 декабря). Второй половины—19 учебных недель (с 10 января до 25-го мая).

В школах рабочей молодежи проводятся только зимние каникулы с 31 декабря по 9 января включительно.

Время начала, окончания и продольжительности учебных четвертей в школах рабочей молодежи то же, что и в массовых школах.

Необходимо учесть, что из общего количества часов, отведенных на историю:

В IX классе во II полугодии на изучение новой истории, отводится один недельный час;

В XI классе в I полугодии на изучение новейшей истории зарубежных стран отводится один недельный час;

в IX—X—XI классах во II полугодии на изучение истории Грузии, отводится один час в неделю.

Из общего количества часов, отводимых на изучение географии в X классе, 15 часов уделяется географии Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
უშ. ობოლაძე
31 ივლისი, 1962 წელი

მითითებანი

საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ

საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო წინადადებას იძლევა ამ ტიპის სკოლებმა იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიიღებიან ორივე სქესის 15 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქენი, რომლებიც მუშაობენ წარმოებაში, ტრანსპორტზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე ომისა და შრომის ინვალიდები.

შენიშვნა: სახელოსნო სასწავლებლებისა და პროფსკოლების მოსწავლეები საღამოს (ცვლის) სკოლებში მიიღებიან შესაბამისი სასწავლებლის დირექტორის წერილობითი ნებართვით.

2. იმ რაიონებში, სადაც არის დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები, მოსწავლეთა მიღებას აწარმოებს პუნქტის გამგე.

დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი ვალდებულია დაამყაროს კონტროლი საკონსულტაციო პუნქტების მიერ მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმეზე, რისთვისაც დირექტორი თვითონ მიდის ადგილებზე, აგრეთვე ამ მიზნით მიავლენს თანამშრომლებს ადგილებზე. მიღების დამთავრების შემდეგ პუნქტის გამგე 1-ლი სექტემბრისათვის დაუსწრებელ სკოლას უგზავნის სასწავლებელში ახლად ჩაბმულთა დოკუმენტებს და ჩატარებული გამოცდების მასალებს.

3. საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და

საშუალო სკოლების როგორც დაკომპლექტებულ, ისე ახლად გახსნილ კლასებში მოსწავლეთა მიღება წარმოებს ყოველწლიურად, თვითეული სკოლისათვის სახალხო მეურნეობის გეგმით დადგენილ-ლისწინებული კონტინგენტის ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სასწავლო წლის დასასრულს სკოლის დირექტორი (გამგე) მოსწავლეთა რაოდენობისა და შემდეგი სასწავლო წლის კონტინ-გენტის სახალხო მეურნეობის გეგმის საფუძველზე, განსაზღვრავს რომელ კლასში მოსწავლეთა რა რაოდენობა უნდა იქნეს მიღებული და, ამის შესაბამისად, აცხადებს სკოლაში მიღებას.

5. სკოლებში ახალი ნაკადის მიღება ცხადდება 15 მაისიდან 25 აგვისტომდე; სწავლებაში ახალგაზრდების ჩასაბმელად სკოლის დირექტორი, საწარმოს ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, საწარმოებში ატარებს ახსნა-განმარტებით მუშაობას, აქვეყნებს განცხადებებს, სარგებლობს ახალგაზრდობის კრებებით, ადგილობრივი გაზეთით და რადიოსატრანსილაციო ქსელით.

6. საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემსვლელი პირი განცხადებასთან ერთად წარადგენს შემდეგ საბუთებს:

ა) სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ მოწმობას ან ცნობას განათლების შესახებ;

ბ) ცნობას სამუშაო ადგილიდან და დახასიათებას;

გ) ცნობას საცხოვრებელი ადგილის შესახებ;

დ) დაბადების მოწმობას;

ე) სამკურნალო დაწესებულების ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

7. სკოლაში შემსვლელის განცხადებას და დოკუმენტებს ღებულობს პირადად სკოლის დირექტორი (გამგე) ან სასწავლო ნაწილში მისი მოადგილე.

8. ის პირები, რომლებიც სწავლებაში ხანგრძლივი წყვეტის გამო, სკოლაში შესვლისას განცხადებასთან ერთად ვერ წარადგენენ დოკუმენტს განათლების შესახებ, აბარებენ შესასვლელ გამოცდებს წინა კლასის პროგრამით შემდეგ საგნებში:

V—VI კლასებში—მშობლიურ ენაში (წერითი), არითმეტიკაში (ზეპირი);

VII კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი);

VIII კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრა-არითმეტიკაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი).

IX კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი);

X კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების XI კლასში შემსვლელი პირებისათვის განათლების შესახებ საბუთის წარდგენა აუცილებელია.

9. გამოცდების დროს წერითი სამუშაოს სახეები უნდა შედგებოდეს: ქართულ ენაში—წერითი ნამუშევრისაგან სათანადო კლასისათვის განკუთვნილი წერითი მუშაობის თემატიკის მიხედვით; მათემატიკაში—VII, VIII, IX და X კლასებში ერთი ამოცანისა და ორი მაგალითისაგან.

10. ზეპირი გამოცდები ტარდება ინდივიდუალური გამოკითხვის წესით.

11. გამოცდების ჩასატარებლად წერითი სამუშაოს ტექსტს, კითხვებს, ამოცანებსა და მაგალითებს ამზადებს შესაბამისი საგნის მასწავლებელი და ამტკიცებს სკოლის დირექტორი (გამგე).

12. გამოცდები ტარდება სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ დამტკიცებული ცხრილით, ამასთან, ჯგუფში ერთ დღეს შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი გამოცდა; საგამოცდო ცხრილი სკოლაში ქვეყნდება გამოცდების დაწყებამდე 10 დღით ადრე.

13. საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შემსვლელს თვითეულ საგანში ცდის სათანადო საგნის მასწავლებელი და ასისტენტი, რომელთაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

14. გამოცდების შედეგებს იხილავს სკოლის პედაგოგიური საბჭო. შესაბამის კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით და ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით 31 აგვისტომდე.

სასწავლო წლის დაწყების შემდეგ საღამოს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ან ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლა, საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემთხვევათა გარდა, აკრძალულია.

შენიშვნა:

ა) სკოლაში ვაკანტური ადგილების სიმცირის შემთხვევაში ჩარიცხვისას უპირატესობა ეძლევა წარმოების მოწინავეებს;

ბ) ტექნიკუმებისა და სხვა სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეები ან ამ ტიპის სასწავლებელდამთავრებული ახალგაზრდები საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ მიიღებიან;

გ) მასობრივი სკოლებიდან გარიცხული მოსწავლეები სა-

ღამოს სკოლაში მიიღებიან გარიცხვის ვადის გასვლის შემდეგ, იმ პირობით, თუ ისინი მუშაობენ წარმოებაში.

15. საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის XI კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მხოლოდ განათლების განყოფილების ნებართვით.

16. სკოლაში ახალმიღებულ თვითეულ მოსწავლეზე უნდა შედგეს პირადი საქმე.

ამ მითითებათა გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1960 წლის 9 ივლისის მითითებანი მუშა, სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილება.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის
სკოლების განყოფილების უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 4 აგვისტოს № 688 ბრძანება

სკოლა-ინტერნატების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი შენახვის სახსრების უფრო მომჭირნეობით ხარჯვის ზომების შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული სკოლა-ინტერნატების ქსელის ზრდის მიმართულებით. 1962 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკაში იყო 56 სკოლა-ინტერნატი 15300 აღსაზრდელით. ბევრ სკოლა-ინტერნატში კარგად არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, შრომითი და პოლიტექნიკური სწავლება, შექმნილია საჭირო პირობები მოსწავლეთა ყოველმხრივი განვითარებისათვის. სკოლა-ინტერნატები ძირითადად დაკომპლექტებული არიან კვალიფიციურ პედაგოგთა კადრებით.

მიუხედავად ამისა, სკოლა-ინტერნატების მუშაობას ახასიათებს არსებითი ნაკლოვანებანი. მაგალითად, ბოგდანოვკის, ჭიათურის, სიღნაღის, ინგირის, განთიადის № 1, ტაშისკარისა და ასპინძის სკოლა-ინტერნატები მოთავსებული არიან მოუწყობელ და უვარგის შენობებში, ამის გამო მოსწავლეთა რიცხვიც მცირეა, რაც ადიდებს მათი შენახვის ღირებულებას. სახალხო განათლების ორგანოები საკმაოდ არ იზიდავენ მშობლებსა და საზოგადოებას სკოლა-ინტერნატებისათვის ქმედითი დახმარების გასაწევად.

სკოლა-ინტერნატების მუშაობის გაუმჯობესების და მათი შენახვის სახსრების უფრო ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 ივლისის № 479 დადგენილების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა,

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) ახლი სკოლა-ინტერნატები მოამზადონ გასახსნელად როგორც წესი, სასწავლო წლის დასაწყისისათვის. სკოლა-ინტერნატების გახსნა სასწავლო წლის დაწყების შემდეგ შეიძლება მოხდეს ცალკეულ შემთხვევებში, მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით;

ბ) მიიღონ ზომები სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა საწარმოო სწავლების გაუმჯობესებისათვის, კერძოდ, დაამთავრონ სასწავლო სახელოსნოების კომპლექსის შექმნა თვითეულ სკოლა-ინტერნატთან, აამაღლონ საწარმოო სწავლების ხარისხი და აღსაზრდელთა პროფესიული მომზადების დონე სამრეწველო საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში;

გ) გაადიდონ მოსწავლეთა რიცხვი სკოლა-ინტერნატების I—VIII კლასებსა და ჯგუფებში 30-დან 35-მდე თვითეულ კლასსა და ჯგუფში. სკოლა-ინტერნატებში შეიძლება მოათავსონ ბავშვები, რომლებიც ოჯახში ცხოვრობენ მათი შენახვის ქირის შემცირებით 5%-მდე.

დ) მშობლების განთავისუფლება სკოლა-ინტერნატებში ბავშვთა შენახვის ქირისაგან მთლიანად ან 50%-ით მოახდინონ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, იმ რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომების გადაწყვეტილებით, რომელთა ტერიტორიაზე სკოლა-ინტერნატი იმყოფება, იმ აღსაზრდელთა რიცხვის არა უმეტეს 25 პროცენტის ფარგლებში, რომლებსაც მშობლები ჰყავთ.

§ 2.

მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე):

ა) უზრუნველჰყოს სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები იაფი და გამძლე ტანსაცმელ-ფეხსაცმელით, იაფი და მოხერხებული ავეჯით სკოლა-ინტერნატების სასწავლო და საცხოვრებელი სადგომების გასაწყობად.

ბ) გამოუყოს სკოლა-ინტერნატებს ბამბეულისა და სხვა

ქსოვილები (მზა ნაწარმის ნაცვლად), რათა შეკერილ იქნას სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში ლოგინის თეთრეული, საცვლები და ზედა ტანსაცმელი, აგრეთვე გამოეყოს სკოლა-ინტერნატებს ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შესაკეთებლად საჭირო ტყავისა და სხვა მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ვ. ჩინჩალაძე) ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებანი არსებულ წვრილ სკოლა-ინტერნატების გამსხვილების შესახებ, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა შეიქმნას რვაწლიანი და საშუალო სკოლა-ინტერნატები კლასების სრული კომპლექტით;

დ) თვითეულ სკოლა-ინტერნატთან შეიქმნას სასწავლო დამხმარე მეურნეობა.

§ 3.

საგეგმო-საფინანსო სამმართველომ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსთან ერთად:

ა) მ/წლის 6 აგვისტომდე გადასინჯოს ადგილობრივი პირობებისა და სკოლა-ინტერნატების მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით, სკოლა-ინტერნატების ადმინისტრაციულ, სასწავლო-აღმზრდელობითი და მომსახურე პერსონალის არსებული შტატები, მათი შემდგომი სრულყოფისა და შესაძლო შემცირების მიზნით და წარმოადგინოს სათანადო პროექტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის მოსახსენებლად;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 5 აპრილის № 230 1962 წლის დადგენილების შესაბამისად დაამუშაოს სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებისათვის ცალკეული სახის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, რბილი ინვენტარისა და კვების ახალი ნორმები და ტარების ვადები და წარმოადგინოს დასამტკიცებლად.

§ 4.

კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ სკოლა-ინტერნატების მშენებლობა 1963 წლიდან გაითვალისწინოს უპირატესად მთიან რაიონებში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 3 აგვისტოს დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 4 აგვისტოს № 689 ბრძანება

სკოლა-ინტერნატებზე მიმაგრებული ამხანაგების მიერ წარმოდგენილი მასალების განხილვის შედეგების შესახებ

გავეცანი რა სკოლა-ინტერნატებზე მიმაგრებული ამხანაგების მიერ წარმოდგენილ მასალებს, აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მასწავლებელთა დიდი ნაწილი კეთილსინდისიერად მუშაობს, საფუძვლიანად ემზადება გაკვეთილებისათვის და მოსწავლეებს აძლევს მტკიცე ცოდნას.

სკოლა-ინტერნატების დირექტორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ გაკვეთილების მაღალხარისხოვნად ჩატარებას, თვალსაჩინოების გამოყენებას, მოსწავლეებისადმი მომთხოვნელობას. ინტერნატების უმრავლესობაში დანერგილია აღმზრდელ-მასწავლებელთა მუშაობის ყოველდღიური შემოწმება, მოწესრიგებულია შინა სასკოლო კონტროლი, ყურადღება ექცევა მოწინავე კლასებისა და აღმზრდელ-მასწავლებელთა გამოცდილების შესწავლას, განზოგადებასა და დანერგვას; შექმნილია ნორმალური პირობები მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებების დამოუკიდებლად მომზადებისათვის და სხვა. ამის შედეგად ბევრ ინტერნატში მოსწავლეთა ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია. ასე მაგალითად, კაჭრეთის სკოლა-ინტერნატში შეფასებულ 328 მოსწავლიდან ყველა საგანში ასწრებს 326, გურჯაანის სკოლა-ინტერნატის 339 მოსწავლიდან—337, მახარაძის სკოლა-ინტერნატის I—IV კლასების 112 მოსწავლიდან—109 მოსწავლე და ა. შ.

მახარაძის სკოლა-ინტერნატის ყველა აღსაზრდელი უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით, დანერგილია სასწავლო ნივთების მოვლა-დაცვის ჩვევები, ინტერნატში განმტკიცებულია შეგნებული დისციპლინა, წესრიგი და სისუფთავე, აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არიან საზამთრო და სა-

ზაფხულო ტანსაცმელ-ფეხსაცმლით, თითოეულ აღსაზრდელს ხუთ-ხუთი წყება ტანსაცმელი აქვს, აცვიათ მორგებულად და სუფთად; გაუმჯობესებულია აღსაზრდელთა კვება. საკუთარი მეურნეობიდან აღსაზრდელები სისტემატურად ღებულობენ ახალ ხილსა და ბოსტნეულს. გურჯაანისა და კაჭრეთის სკოლა-ინტერნატების შენობებსა და ეზო კარ-მიდამოში სრული წესრიგია დამყარებული, სასწავლო და საძინებელი კორპუსები, კვების ბლოკი და ეზო დასუფთავებულია, დიდი მუშაობაა ჩატარებული ეზოების გასამწვანებლად. ასეთივე მდგომარეობაა კასპის, კოჯრის, მახუნცეთის, ქუთაისის № 1, სიღნაღისა და სხვა სკოლა-ინტერნატებში.

კარგად მუშაობს მახარაძის სკოლა-ინტერნატის მზრუნველთა საბჭო. საბჭომ ინტერნატის აღსაზრდელებს შეუძინა სასოფლო-სასამეურნეო იარაღები და სპეკტანსაცმელი; მათივე დახმარებით კოლმეურნეობამ უსასყიდლოდ დაუმუშავა და დათესა მიწის ნაკვეთი და უვადო სარგებლობაში გადასცა 1 ჰექტარი ჩაის მოსავლიანი ფართობი, ინტერნატის ბიბლიოთეკისათვის შეძენილია 4 კარადა და 150 მანეთის მხატვრული ლიტერატურა. ასევე კარგად მუშაობს მახუნცეთის მზრუნველთა საბჭო და საშეფო ორგანიზაცია; საშეფო ორგანიზაციამ (აწჰესი) სკოლა-ინტერნატს უსასყიდლოდ გადასცა 10.000 მანეთად შეფასებული დამხმარე შენობა და მოაასფალტა 300 კვ. მეტრი ეზოს ფართობი.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

სუსტად მუშაობენ სკოლა-ინტერნატის მასწავლებლები გ. გიორგაძე, ვ. ნაგერვაძე, ე. ცინცაძე, ქ. გოგიტიძე, თ. ფუტკარაძე (კირნათის სკოლა-ინტერნატი), ხ. ალიდაური (ბარისახოს სკოლა-ინტერნატი), ვ. გიორგაძე, გ. გოლოვანიუკი (თბილისის მე-4 სკოლა-ინტერნატი); აღმზრდელები ქ. ბახუაშვილი, ნ. კენჭუაშვილი (კასპის სკოლა-ინტერნატი), გარსევანიშვილი და გაიდაროვა (ქ. თბილისის მე-4 სკოლა-ინტერნატი).

მარნეულის სკოლა-ინტერნატი არაა დაკომპლექტებული სათანადო განათლებისა და გამოცდილების მქონე მასწავლებლებით. მეორე კლასის მასწავლებელი რ. ბაირამოვა მოუმზადებელია, მას არ შესწევს უნარი მისცეს ბავშვებს სწორი წერის ნიმუშები. ანალოგიური მდგომარეობაა გორდის, სოხუმის № 1, ქ. თბილისის № 6 და რესპუბლიკის სხვა სკოლა-ინტერნატშიც. ადგილი აქვს მასწავლებელთა ხშირ ცვალებადობას—ხულოს სკოლა-ინტერნატში 1961—1962 სასწავლო წლის განმავლობაში სამჯერ შეიცვალა სასწავლო ნაწილის გამგე, ხუთჯერ უფროსი აღმზრდელი. ბათუმის

მე-2 სკოლა-ინტერნატში დანიშნულ აღმზრდელ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი ერთი და იგივე სპეციალობისაა.

დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე: მარნეულის სკოლა-ინტერნატის 244 მოსწავლიდან 22 დარჩა იმავე კლასში, ხოლო 32 მოსწავლეს მიეცა საშემოდგომო გამოცდა, დაწყებით კლასებში დატოვებული 17 მოსწავლიდან პირველ კლასელია 2; კირნათის სკოლა-ინტერნატის 300 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 39, სოხუმის პირველ სკოლა-ინტერნატში კი მოსწავლეთა 28%. მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო კასპის სკოლა-ინტერნატში 5 მოსწავლე დაბრუნებული იქნა უმცროს კლასებში. ანალოგიური მდგომარეობაა რუსთავის, კიცხის, თბილისის მეოთხე და სხვა სკოლა-ინტერნატებშიც.

მოსწავლეთა საკმაო ნაწილი არაა უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებითა და სხვა საჭირო სასწავლო ნივთებით: კალდახვარის სკოლა-ინტერნატში თითოეული სახელმძღვანელო 5—6 ცალის რაოდენობითაა, დიდი რაოდენობით აკლია სახელმძღვანელოები გულრიფშის, რუსთავის, ბარისახოს, ჩაისუბნის, ხულოსა და ლაჯანურის სკოლა-ინტერნატებს, ბევრ ინტერნატში სახელმძღვანელოები მოუვლელია.

სკოლა-ინტერნატების ერთ ნაწილში საკმაო დრო არ ეთმობა სპორტულ შეჯიბრებებს, ექსკურსია-ლაშქრობებს, დილა-საღამოების მოწყობას. მოუგვარებელია კლასგარეშე მუშაობა; მასწავლებლები, კლასის ხელმძღვანელები და აღმზრდელ-მასწავლებლები ზოგან შეთანხმებულად არ მუშაობენ. სუსტი მატერიალური ბაზის გამო ზოგიერთ ინტერნატში არაა მოწყობილი სასწავლო კაბინეტები, სახელოსნოები და სხვა. მძიმე პირობებში უხდება მუშაობა ხულოს სკოლა-ინტერნატს: საძინებელ კორპუსებში ძალზე სივიწროვეა, სასადილო მოუწყობელია, უვარგისია სამრეცხაოს შენობა, არ აქვს სარეცხი მანქანები და საშრობი, გარეცხილი თეთრეული უხარისხოა, სველი წერტილები პრიმიტიულადაა მოწყობილი ეზოში; ინტერნატი არაა მზად საწარმოო სწავლებაზე გადასასვლელად და სხვ. სკოლა-ინტერნატის შენობა-ნაგებობანი კაპიტალურ რემონტს საჭიროებს, ამ დანიშნულებისათვის გათვალისწინებული 5000 მანეთი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

მსგავსი მდგომარეობაა კირნათის სკოლა-ინტერნატშიც: სასწავლო კორპუსი სრულიად შეუფერებელია ინტერნატისათვის, არაა მოწყობილი კაბინეტები, შრომის ოთახი, საძინებელი კორპუსი. ინტერნატში არაა გაყვანილი რადიო. მაღალი ძაბვის ელექტრო-

ქსელი კაბელის უქონლობის გამო არ არის დამიწებული, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის აღსაზრდელებს. ლაჯანურის სკოლა-ინტერნატში მოუგვარებელია კანალიზაციის, ცენტრალური გათბობის, ეზოს კეთილმოწყობის და სასადილოს შენობის [illegible] სასადილო ინტერნატიდან ნახევარი კილომეტრითაა დაშორებული და ოთხჯერადი კვების პირობებში ბავშვების სიარული ზამთრის პირობებში ძნელია. მოუგვარებელია აგრეთვე ინტერნატის ტერიტორიიდან სარაიონთაშორისო გზის გადაადგილების საქმეც. შენობათა მხრივ ანალოგიური მდგომარეობაა ბათუმის მეორე, ქუთაისის მესამე, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბარისახოს, გულრიფშისა და მახუნცეთის სკოლა-ინტერნატებშიც.

ზოგიერთ სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილნი ნორმით გათვალისწინებულ ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით. ბარისახოს სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს აკლია 250 წყვილი საცვალი, 110 წყვილი ფლოსტები, 300 წყვილი თექის ჩექმები, 300 აბანოს პირსახოცი, 170 სათხილამურო კოსტუმი, 400 მაისური, 110 ფორმის კაბა, 220 ზამთრის ქუდი და სხვ. მიღებული ტანსაცმლიდან ბევრი პატარა ზომისაა და გამოუყენებლი აწყვია საწყობში. ინტერნატს აკლია აგრეთვე კარადები და „ტუმბოჩკები", არ აქვს მაცივარი, სიძველის გამო ბევრი საწოლი დადაზიანებულია. ხულოს სკოლა-ინტერნატს აკლია ფეხსაცმელები, საცვლები, სვიტრები, და, აგრეთვე სასწავლო და სასადილო მაგიდები, საწოლების დიდი ნაწილი შესაცვლელია. მსგავსი მდგომარეობაა კიცხის, სოხუმის პირველ, ახალქალაქის, ადიგენისა და მარნეულის სკოლა-ინტერნატებში.

რესპუბლიკის ბევრ ინტერნატში არაა ოთახები მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის, აღსაზრდელებს არ აქვთ პირადი ჰიგიენის ნივთები, კბილის ჯაგრისები, ფხვნილი, ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ჯაგრისი, ფეხსაცმლის საცხი და სხვ. მზრუნველთა საბჭოები და საშეფო ორგანიზაციები ამავე დროს უმოქმედობას იჩენენ.

არადამაკმაყოფილებელია აღსაზრდელთა კვება. მომმარაგებელმა ორგანიზაციებმა (აჭარკურორტვაჭრობა და აჭარკოოპკავშირი) ხულოს სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში არ მისცეს დამტკიცებული კვების პროდუქტებიდან—კარტოფილი 1760 კგ, ბოსტნეული—237 კგ, ხილი—1966 კგ, ხორცი—643 კგ, თევზი—983 კგ, ყველი 393 კგ, კვერცხი 6230 ცალი, რძე—4541 ლიტრი. ამავე პერიოდში კირნათის სკოლა-ინტერნატს დააკლდა კარტოფილი—1020 კგ, ბოსტნეული—2984 კგ,

კამფეტი—524 კგ, თევზი—1443 კგ, ყველი—591 კგ, ზეთი—223 კგ. ბარისახოს სკოლა-ინტერნატში ყოველდღიური რაციონი ღარიბი და ერთფეროვანია, ინტერნატი სუსტად მარაგდება ხორცეულეულით—ბოსტნეულით. ანალოგიური მდგომარეობაა გულრიფშის, კალდახვარის, ლაჯანურის, კოჯრის, კოხნარისა და სხვა სკოლა-ინტერნატებში. ზოგჯერ აღსაზრდელები ჭამის წინ არ იბანენ ხელს, ინტერნატებში შეინიშნება ჩანგლების, კოვზებისა და ჭიქების ნაკლებობა. ხშირად ავადმყოფი ბავშვები არ გადაჰყავთ დიეტურ კვებაზე და ისინი საერთო კერძით სარგებლობენ, კოხნარის სკოლა-ინტერნატში კვების მენიუ-მოთხოვნილება უხარისხოდ დგება, ამავე ინტერნატის ბუხჰალტერი ა. ზურაბაშვილი, რომელიც საფინანსო დისციპლინის დარღვევისათვის განთავისუფლებული იყო გასულ წელს, დღესაც განაგრძობს მუშაობას. ხშირად დამხმარე მეურნეობები არარენტაბელობის გამო ვერ აწვდიან საჭირო პროდუქტებს სკოლა-ინტერნატებს

არ ექცევა ყურადღება კვების თანხების თავის დროზე აკრეფისა და ბანკში შეტანის საქმეს, მარტო ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატში კვების თანხების დავალიანება 4100 მანეთია. მსგავსი მდგომარეობაა ასპინძის, ადიგენისა და ტაშისკარის სკოლა-ინტერნატებში.

სუსტად მუშაობს ქ. თბილისის მეოთხე სკოლა-ინტერნატის ექიმი ამხ. არობელიძე, ის არ აქცევს ყურადღებას აღსაზრდელთა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას, არ ზრუნავს მათ ჯანმრთელობაზე, არ ატარებს ლექცია-საუბრებს სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხებზე. დღემდე ექიმის გარეშეა დატოვებული ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატი, ხოლო გორდის სკოლა-ინტერნატში არ მოხერხდა ექიმის მუდმივად დანიშვნა.

ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს სკოლა-ინტერნატების მშენებლობა. კალდახვარის სკოლა-ინტერნატის საცხოვრებელი და სამეურნეო კორპუსების მშენებლობა დაუმთავრებელია, ნელი ტემპით მიმდინარეობს კიცხის, გორდის, განთიადის მეორე და კოჯრის საძინებელი და სასწავლო კორპუსების მშენებლობა.

ხშირ შემთხვევაში დამთავრებული და ექსპლოატაციაში გადაცემული შენობები უხარისხოდაა აგებული: კირნათის სკოლა-ინტერნატის საძინებელი კორპუსის იატაკი უვარგისია, შენობის კედლები და ჭერი ცვივა, შენობას არ აქვს გაკეთებული საწვიმაო ღარები და სხვ; დეფექტებით იქნა აგებული სოხუმის პირველი სკოლა-ინტერნატის საძინებელი კორპუსი, ეზო არაა მოასფალტებული, წესრიგში მოსაყვანია გათბობის სისტემა, შენობის სასარ-

დაფო სართულს ინტერნატი ვერ იყენებს იმის გამო, რომ შიგ წყალი დგას სისტემატურად; გეგეჭკორის სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსი, რომლის მშენებლობა დამთავრების პროცესშია, უხარისხოდაა ნაწარმოები, კიბეები მრუდედაა დაგებული, ჯარ-ფანჯრები უვარგისია, ახლახან დახურულ შენობაში წყალი ჩამოდის. მსგავსი მდგომარეობაა სალხინოს სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსშიც. მძიმე მდგომარეობაა ბათუმის მეორე სკოლა-ინტერნატში: კედლების ნახევარზე მეტი სველია და დაზიანებული, საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად დაესწრონ გაკვეთილებს და სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით გაატარონ სათანადო ღონისძიებანი;

ბ) განახორციელონ აუცილებელი ღონისძიებანი ინტერნატებში საქმიანი ვითარების შესაქმნელად, რათა უზრუნველყოფილ იქნას პირობები ნორმალური სწავლებისა და მოსწავლეთა გონივრული დასვენებისათვის;

გ) გააძლიერონ ცალკეულ სასწავლო დისციპლინებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არსებითად გასაუმჯობესებლად; უზრუნველყონ მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლება;

დ) შეავსონ კაბინეტ-ლაბორატორიები და სწავლების პროცესში ფართოდ დანერგონ თვალსაჩინოება;

ე) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ბიბლიოთეკების კეთილმოწყობის მიზნით და წიგნადი ფონდის გასამდიდრებლად;

ვ) მიაღწიონ იმას, რომ სკოლა-ინტერნატი არ დარჩეს სათანადო სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გარეშე; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნაკვეთების დამუშავებას, უზრუნველყონ ისინი საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით; იზრუნონ სკოლა-ინტერნატებთან სახელოსნოების მოწყობისა და ხელგარჯილობის სწავლების პირობების გასაუმჯობესებლად;

ზ) ზუსტად დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმი და სისტემატური მუშაობა აწარმოონ აღსაზრდელებში პირადი ჰიგიენის ჩვევების მტკიცედ დანერგვის მიზნით:

თ) საქმიანი კონტროლი დააწესონ საგნის მასწავლებელთა, კლასის ხელმძღვანელთა და აღმზრდელ-მასწავლებელთა ერთობლივ, შეთანხმებულ მუშაობაზე;

ი) აღკვეთონ ასაკგადაცილებულთა ჩარიცხვის შემთხვევები;

კ) გააძლიერონ საშეფო ორგანიზაციებისა და მზრუნველთა საბჭოების მუშაობა; მჭიდრო კავშირი დაამყარონ საშეფო ორგანიზაციებთან და მაქსიმალურად გამოიყენონ მათი დახმარება;

ლ) გააუმჯობესონ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, სისტემატურად ჩაატარონ დილის გამამხნევებელი ვარჯიშები და გამოაცოცხლონ სპორტული წრეების მუშაობა;

მ) სისტემატურად მოახდინონ აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება და ავადმყოფი ბავშვები, ექიმების დასკვნით, ყველა საჭირო შემთხვევაში გადაიყვანონ დიეტურ კვებაზე;

ნ) შექმნან საწარმოო სწავლების კლასებისათვის სათანადო პირობები;

ო) დღის რეჟიმის შედგენისას გაითვალისწინონ მოსწავლეთა ასაკი და ადგილობრივი პირობების თავისებურება.

2. განათლების განყოფილების გამგეებმა:

ა) სისტემატურად შეისწავლონ სკოლა-ინტერნატების მუშაობა და შემოწმების შედეგები განიხილონ განათლების საბჭოს სხდომებზე;

ბ) გადასინჯონ სკოლა-ინტერნატის კადრები და სათანადო წესის დაცვით ა/წლის 20 აგვისტომდე გაათავისუფლონ სუსტად მომუშავე პირები;

გ) გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა წარმატების მკვეთრად ამაღლების უზრუნველსაყოფად;

3. ჩოხატაურის განათლების განყოფილების გამგემ დააზუსტოს კოხნარის სკოლა-ინტერნატთან არსებული საშუალო სკოლის ცალკე ერთეულად გამოყოფის შესაძლებლობის საკითხი და დასაბუთებული მოსაზრება წარმოადგინოს სამინისტროში.

4. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ა. ღადუა) სისტემატური კონტროლი გაუწიოს სკოლა-ინტერნატების შენობების მშენებლობის მიმდინარეობას და შესრულებული სამუშაოების ხარისხს; გამოავლინოს გეგმების შესრულების საქმეში ჩამორჩენილობისა და სამუშაოების დაბალი ხარისხით შესრულების შემთხვევები და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით მიიღოს საჭირო ზომები.

5. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე):

ა) მიიღოს გადამჭრელი ზომები სკოლა-ინტერნატების შეუფერხებლად მომარაგებისათვის;

ბ) ტანსაცმელ-ფეხსაცმლით სკოლა-ინტერნატების მომარაგება აწარმოოს დირექტორის განაცხადის საფუძველზე;

გ) სისტემატურად მოამარაგოს სკოლა-ინტერნატების ბავშვ. ზრდელები პირადი ჰიგიენის საგნებით (კბილის ფხვნილი, ჯაგრისი, ფეხსაცმლის საწმენდი საცხი და სხვა).

დ) უზრუნველყოს ფეხსაცმელების შესაკეთებლად საჭირო მასალის გამოყოფა;

ე) გადამჭრელი ზომები მიიღოს სკოლა-ინტერნატების სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით პირველ რიგში მომარაგებისათვის;

ვ) მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე მოამზადოს საკითხი ზოგიერთი სახის საქონლის ადგილზე შეძენის შესახებ გადარიცხვით.

6. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშო სახლების სამმართველომ დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 3 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 10 აგვისტოს № 718 ბრძანება

ნორჩ მათემატიკოსთა მეექვსე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეშვიდე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ ნორჩ მათემატიკოსთა მეექვსე რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ ხელი შეუწყო მოსწავლე ახალგაზრდობის მათემატიკური კულტურის ამაღლებას, სკოლებში მათემატიკის სწავლების გაუმჯობესებას, საგნის ღრმად შესწავლისადმი ინტერესის გაძლიერებას და სასკოლო მათემატიკური წრეების მუშაობის გამოცოცხლებას. მეექვსე რესპუბლიკური ოლიმპიადის პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სკოლების 18200 მოსწავლემ, მეორე ტურში 6250, ხოლო მესამე ტურში —190 მოსწავლემ.

ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს ქ. თბილისის 1-ლი მაისის კიროვის და კალინინის სახელობის რაიონების ოლიმპიადის ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტებმა და განათლების განყოფილებებმა. მათ დროულად გაშალეს მოსამზადებელი მუშაობა სკოლებში, ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადაში მოსწავლეთა ჩასაბმელად.

ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადაში მოსწავლეების მნიშვნელოვანი რაოდენობის ჩაბმით და ამ დარგში სათანადო მუშაობის ჩატარებით გამოირჩეოდნენ ქ. თბილისის მე-3, მე-7, მე-13, მე-19, მე-20, 27-ე, 28-ე, 29-ე, 30-ე, 39-ე, 53-ე, 56-ე, 58-ე, 61-ე, 66-ე, 81-ე, 83-ე, 91-ე, 96-ე, 117-ე, ფოთის 1, მე-3, მე-4, ქუთაისის მე-3, მე-8, მე-9, ზუგდიდის მე-3, ბათუმის მე-7, ვანის, სიღნაღის, მახარაძის, ყაზბეგის, დუშეთის, საჩხერის, ახალქალაქის, თეთრი წყაროს, ხულოს, სამტრედიის საშუალო სკოლები, თბილისის მე-2, მე-3, მე-4, და ზუგდიდის 1 სკოლა-ინტერნატები. სრულიად არ მიუღიათ მონაწილეობა ოლიმპიადაში თბილისის 26-ე, 73-ე, 105-ე, 107-ე 108-ე, 109-ე, 118-ე, 120-ე, 121-ე, ქ. რუსთავის, გუდაუთის და შუახევის რაიონების სკოლებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოლიმპიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოებული იქნენ პირველი ხარისხის პრემიითა და ფასიანი საჩუქრებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ცისკარიძე კონსტანტინე შოთას-ძე (66-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე)

2. კოვალი ლეონიდ ნიკიტას-ძე (თბილისის მე-20 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე)

3. მაისაია ოთარ ივანეს-ძე (თბილისის 31-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე)

4. ხარშილაძე ალექსანდრე ფილიპეს-ძე (თბილისის 48-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე)

მეორე ხარისხის პრემიით და ფასიანი საჩუქრებით:

1. ლაშხია ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე (ფოთის მე-3 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე)

2. კლიპკერი იზრაილ აბრამის-ძე (თბილისის 66-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე)

3. კიტაინკი ლეონიდე მიხეილის-ძე (თბილისის 66-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე)

4. ბლინკინი მიხეილ იაკობის-ძე (თბილისის 52-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე)

ქების სიგელით:

1. ავაზაშვილი ნიკოლოზ დავითის-ძე (თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე)

2. ხუციანი სერგო რუბენის-ძე (თბილისის 37-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე)

3. ჩიკვაშვილი რომან იოსების-ძე (თბილისის 101-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე)

4. ხოლტსი სვეტლანა გრიგოლის ასული (თბილისის 66-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე)

5. ბევზი ლუდმილა იურის ასული (თბილისის 66-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე)

6. ნაზინიანი ემა სურენის ასული (თბილისის 66-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე)

7. ჩარგეიშვილი ალმარი ალექსანდრეს-ძე (თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე)

8. ნეცეევსკი იური ბრონისლავის-ძე (თბილისის მე-20 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე)

9. კოროლი ლეონიდე ლეონიდეს-ძე (თბილისის მე-20 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე)

10. თოფურია ჯუანშერ შოთას-ძე (ფოთის მე-3 სკოლის IX კლასის მოსწავლე)

11. სამარინი ვიქტორ ივანეს-ძე (თბილისის მე-9 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე)

12. ცეიტლინი დავით იოსების-ძე (თბილისის 66-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე)

2. ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადების მომზადებასა და ჩატარებაზე სისტემატური დახმარებისა და ხელმძღვანელობისათვის დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით: ამხ. ამხ. ი. შტეინბერგი—დამსახურებული მასწავლებელი პენსიონერი, მ. ბაუმბერგი—თბილისის 66-ე სკ. მათემატიკის მასწავლებელი.

3. 1962 წლის 1 ოქტომბრიდან 1963 წლის 1 მაისამდე რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში ჩატარდეს ნორჩ მათემატიკოსთა მეშვიდე რესპუბლიკური ოლიმპიადა; ოლიმპიადაში მონაწილეთა შესარჩევი სასკოლო ტური მოეწყოს სკოლებში 1962 წლის 30 დეკემბრამდე.

პირველი—საარაონო (საქალაქო) ტური ჩატარდეს—3 თებერვალს, მეორე—ზონალური—10 მარტს (თბილისელთათვის 17 მარტს), ხოლო მესამე—რესპუბლიკური —21 აპრილს.

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ვლ. ჭელიძე—თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი (თავმჯდომარე);

2. ა. ხარაძე—თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი;

3. ე. ცხვედაძე —ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მათემატიკის კაბინეტის გამგე;

4. ნ. გურგენიძე—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

5. ჯ. კვარაცხელია—ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი;

6. ნ. თევზაძე—თბილისის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი:

7. გ. ჯაფარიძე—ა. პუშკინის სახ. თბილისის პედინსტიტუტის მასწავლებელი;

8. ი. შტეინბერგი—დამსახურებული მასწავლებელი;

9. დ. ავაზაშვილი—ლენინის სახ. სპი-ს მათემატიკის კათედრის გამგე;

10. ს. ლომჯარია—ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ტ. ტყემალაძე—განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილების უფროსი;

12. ი. მეცხვარიშვილი—პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე, დოცენტი;

13. ბებურიშვილი მიხეილ—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტურის უფროსი (თავმჯდომარის მოადგილე);

14. ხარშილაძე ფილიმონ—საქმეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

15. ბენდუქიძე ავთანდილი—თბილისის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დოცენტი;

V. ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

VI. აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა დროულად გააცნონ მათემატიკის მასწავლებლებს ნორჩ მათემატიკოსთა მეშვიდე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების დებულება, 1962 წლის 30 დეკემბრამდე სკოლებში ჩატარდეს ოლიმპიადაში მონაწილეთა შესარჩევი სასკოლო ტური.

VII. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიუჯეტში 1963 წლისათვის გაითვალისწინოს საჭირო თანხა ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადის ჩატარებისათვის რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში.

VIII. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. ალველაძე) ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს გამოუყოს ოლიმპიადისათვის საჭირო ქაღალდი.

IX. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე) 1963 წლისათვის

უზრუნველყოს ნორჩ მათემატიკოსთათვის ამოცანებისა და საგარჯიშოების კრებულის გამოცემა.

X. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ ეხელმძღვანელოს ამ საქმეს და მისი მიმდინარეობის შესახებ მოახსენოს კოლეგიას მ/წლის დეკემბერსა და 1963 წლის მარტში.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ნორჩ მათემატიკოსთა მეშვიდე რესპუბლიკური ოლიმპიადის შესახებ

1. ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადას ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ქ. თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბაზაზე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით ყოველი წლის ოქტომბრიდან მომავალი წლის მაისამდე.

2. ოლიმპიადა მიზნად ისახავს გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა მათემატიკაში. გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები, ხელი შეუწყოს სკოლაში მათემატიკური წრეების მუშაობას და ამით ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მათემატიკური კულტურის ამაღლებას.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შესარჩევ სასკოლო ტურში გამარჯვებულ რვაწლიანი და საშუალო სკოლების მე-8, მე-11 კლასების მოსწავლეებს.

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. განათლების განყოფილებებთან ყალიბდება ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებსაც ამტკიცებენ განათლების განყოფილებათა გამგეები.

5. რესპუბლიკური და ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველ მოსწავლეთათვის აწყობენ მეცნიერ-მუშაკთა და გამოცდილ პედაგოგთა ლექციებს მათთვის საჭირო თემებზე და აწარმოებენ პრაქტიკულ ვარჯიშს საოლიმპიადო ხასიათის ამოცანებზე. ამ მუშაობას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ატარებს თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, ხოლო ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები მათ მიერ დანიშნულ პუნქტებში, ლექციების განრიგს სკოლებს უგზავ-

ნიან თბილისში რესპუბლიკური, ხოლო სხვა ქალაქებში ადგილობრივი კომიტეტები.

6. ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადა ტარდება სამ ტურად. სამივე ტური დასწრებულია. პირველი—სარაიონო (საქალაქო) ტური ტარდება ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტების მიერ შერჩეულ პუნქტებში.

მეორე—ზონალური ტური ტარდება სპეციალურად შერჩეულ ზონების ცენტრში. მასში მონაწილეობას ღებულობენ 1-ლ სარაიონო (საქალაქო) ტურში გამარჯვებული მოსწავლეები.

მესამე—რესპუბლიკური ტური ტარდება თბილისში ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. მასში მონაწილეობას ღებულობენ ზონალურ ტურში გამარჯვებული მოსწავლეები.

7. ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეებს მიეცემათ სამი ამოცანა. დრო ამოცანების ამოხსნისათვის განსაზღვრულია 4 საათით. სამივე ტურისათვის ამოცანებს შეარჩევს, რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

8. პირველი—სარაიონო (საქალაქო) ტური ჩატარდება 3 თებერვალს (კვირას), მეორე—ზონალური—10 მარტს (კვირას), ხოლო თბილისის სკოლებისათვის 17 მარტს, მესამე—რესპუბლიკური—21 აპრილს (კვირას).

15 იანვრამდე სკოლები განათლების განყოფილებას უგზავნიან იმ მოსწავლეთა სიებს, რომლებიც დაშვებულნი იქნებიან ოლიმპიადის პირველ სარაიონო (საქალაქო) ტურზე.

1-ლ მარტამდე განათლების განყოფილებები რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს უგზავნიან იმ მოსწავლეთა სიებს, რომლებიც დაშვებულნი იქნებიან მეორე ზონალურ ტურზე.

9. პირველი ტურის ამოცანები ფოსტით ეგზავნება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებს დალუქული პაკეტით.

მეორე ტურისათვის დალუქული პაკეტი ამოცანებით ადგილებზე მიაქვს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წევრს, რომელიც მივლინებული იქნება ტურის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის.

10. სარაიონო (საქალაქო) და ზონალური ტურის ჩატარების დღეს დალუქულ პაკეტს საკლასო ოთახში ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა თანდასწრებით ხსნის ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ან მისი დავალებით საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

11. სარაიონო (საქალაქო) 1-ლი ტურის წერილთ ნაშრომებს ასწორებს ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტი. ზონალური მეორე ტურის წერილთი მუშაობის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი იბარებს ოლიმპიადის მონაწილეთა ნაშრომებს.

სასკოლო და სარაიონო (საქალაქო) ტურებზე გამარჯვებულ მოსწავლეთა ნაშრომები რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მოთხოვნამდე ინახება განათლების განყოფილებაში.

12. ნაშრომები ფასდება ქულებით. თითოეული ამოცანის ამოხსნისათვის იწერება ერთი, ან ორი ქულა იმის მიხედვით თუ რამდენად რაციონალური გზით არის ამოხსნილი ამოცანა.

13. სარაიონო (საქალაქო) ტურის მონაწილენი, რომლებიც მიიღებენ არა ნაკლებ სამი ქულისა 6 შესაძლებლიდან, დაიშვებიან ზონალურ ტურზე, ხოლო რესპუბლიკური ოლიმპიადის მესამე ტურზე დაიშვებიან ის მოსწავლეები, რომლებიც მეორე ტურში 6 შესაძლებლიდან მოაგროვებენ არანაკლებ 5 ქულისა.

14. ოლიმპიადის მესამე ტურზე დაშვებულ მოსწავლეთა სიას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი უგზავნის ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტებს.

15. მეორე ზონალურ ტურში გამარჯვებულ ნორჩ მათემატიკოსებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გამოიწვევს ქ. თბილისში ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მესამე ტურში მონაწილეობის მისაღებად.

16. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადაში გამარჯვებულთა სიას გადასცემს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმოდგენილ პირთა დასაჯილდოებლად. ჯილდოების გადაცემა მოხდება საზეიმო ვითარებაში.

ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 6, ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, მათემატიკის კაბინეტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 22 აგვისტოს № 753 ბრძანება

ზოგადსაგანმანათლებლო დაუსწრებელი საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა მედლებით დაჯილდოების შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 782 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამავე წლის 8 აგვისტოს № 1128 განკარგულების შესაბამისად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 27 აგვისტოს № 1025 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმავე წლის 28 სექტემბრის № 763 დადგენილებანი „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა მედლებით დაჯილდოების შესახებ“ გავრცელდეს იმ მოსწავლეებზე, რომლებიც ამთავრებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაუსწრებელ საშუალო სკოლებს და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დაუსწრებელ განყოფილებებს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცირკულარად

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს

გეგზავნებათ ერთიანი ფორმები დაუსწრებელ სკოლებსა და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დაუსწრებელ განყოფილებებში პირველადი აღრიცხვის შესახებ:

1. მოსწავლეთა აღრიცხვის წიგნი,
2. მასწავლებლის ჟურნალი,
3. დაუსწრებელი საშუალო სკოლის, დაუსწრებელი განყოფილებისა და სასწავლო საკონსულტაციო პუნქტის მუშაობის საღრიცხვო ჟურნალი,
4. სასწავლო გეგმა—დაუსწრებლის ჩათვლის წიგნაკი.

გთხოვთ აღნიშნული ფორმები დაიყვანოთ ყველა დაუსწრებელ სკოლასა და დაუსწრებელ განყოფილებამდე.

სათანადო მასალები თან ერთვის.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაუსწრებელ სკოლებსა და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დაუსწრებელ განყოფილებებში პირველადი აღრიცხვის ერთიანი ფორმების შესახებ

დაუსწრებელი სწავლების სისტემა მოითხოვს მთელი მუშაობის ზუსტ და გულდასმით აღრიცხვას.

აღრიცხვა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მასში ასახული იყოს დაუსწრებელთა შემადგენლობის მოძრაობა, სასწავლო მუშაობა და დაუსწრებელთა მოსწრება, მასწავლებელთა მუშაობა, აგრეთვე თვითონ სკოლების, დაუსწრებელ განყოფილებათა და მათი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების მუშაობა.

დაუსწრებელთა მოძრაობის აღრიცხვისათვის თითოეულ დაუსწრებელ სკოლას და დაუსწრებელ განყოფილებას უნდა ჰქონდეს „მოსწავლეთა აღრიცხვის წიგნი", სადაც შეიტანება ყველა მოსწავლის გვარი (მათ შორის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებსა და მასობრივ რვაწლიან და საშუალო სკოლებზე მიმაგრებულ მოსწავლეთა) ალფაბეტური წესით (დანართი 1). განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა წარმოებდეს სკოლიდან ან დაუსწრებელ განყოფილებიდან გასულ მოსწავლეთა აღრიცხვა. თითოეულ შემთხვევაში წიგნში შეიტანება ნომერი და თარიღი სკოლის დირექტორის ბრძანებისა მოსწავლის გასვლის შესახებ, აგრეთვე აღნიშნული იქნება მიზეზები, რომელთა გამო მან შეწყვიტა მეცადინეობა. წიგნი უნდა იქნეს დანომრილი და ზონარგაყრილი. მას ხელს აწერს და ბეჭედს ასვამს დაუსწრებელი სკოლის ან იმ სკოლის დირექტორი, რომელსაც დაუსწრებელი განყოფილება აქვს.

დაუსწრებელ სკოლაში, დაუსწრებელ განყოფილებაში ან სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში, აგრეთვე იმ სკოლაში, სადაც მიმაგრებულია დაუსწრებლები, მასწავლებლის მუშაობისა და მოსწავლეთა მოსწრების აღრიცხვისათვის შემოღებულ უნდა იქნეს „მასწავლებლის ჟურნალი" (დანართი 2).

ამ ჟურნალს აწარმოებს დაუსწრებელი სკოლის, განყოფილე-

ბის, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის (ჯგუფის) თითოეული მასწავლებელი.

ჟურნალი სამი განყოფილებისაგან შედგება:

პირველი განყოფილება შეიცავს ჯგუფური კონსულტაციების აღრიცხვას და ცნობებს ჩათვლების მიღების შესახებ წლის განმავლობაში. აქ მასწავლებელს კლასების მიხედვით შეაქვს იმ მოსწავლეთა გვარები და ინიციალები, რომლებიც ესწრებიან ან არ ესწრებიან მეცადინეობას. თითოეული მოსწავლის გვარის გასწვრივ მეცადინეობის გამცდენი აღინიშნება ნიშნით: „არ", დამსწრეთა აღნიშვნა არ ხდება.

მიღებული ჩათვლების აღრიცხვა წარმოებს შესაბამის გრაფებში ნიშნით „3", „4", „5" და იგივე შეფასებები ერთდროულად შეიტანება მოსწავლის ჩათვლის წიგნაკში. წერითი ან პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება შეფასების ნიშნით აღინიშნება დასწრების შესაბამის სვეტში. გავლილი მასალის ჩასაწერ სვეტში მასწავლებელი წერს მეცადინეობის ჩატარების თარიღს და ჯგუფური კონსულტაციების თემებს.

მეორე განყოფილებაში წარმოებს ზეპირი ჩათვლების მიღების, წერითი ჩათვლითი სამუშაოების შემოწმებისა და რეცენზირების, აგრეთვე ჩატარებული ინდივიდუალური კონსულტაციების ქრონოლოგიური ჩაწერა.

პირველ სვეტში აღინიშნება ინდივიდუალური კონსულტაციის ჩატარების, ჩათვლის მიღების ან წერითი ჩათვლითი სამუშაოს შემოწმების თარიღი. ამას გარდა, IX—X კლასებში 1962/63 სასწავლო წელს, ხოლო X კლასში 1963/64 სასწავლო წელშიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გამოცდებსა და ექსკურსიებზე დახარჯული სასწავლო დროის რაოდენობა. ამისათვის ჟურნალში გამოყოფილია შესაბამისი სვეტები.

სვეტში „სამუშაოს სახეები" შეიძლება ადგილი ექნეს ასეთ ჩანაწერებს: „ინდივიდუალური კონსულტაციები", „ჩათვლის მიღება", „წერითი ჩათვლითი ნამუშევრის შემოწმება და რეცენზირება". თუ მასწავლებელმა კონსულტაცია ჩაუტარა ერთსა და იგივე საკითხზე რამდენიმე მოსწავლეს, მაშინ კონსულტაციების მოკლე შინაარსის ჩანაწერი ერთიანდება.

სვეტში „მასწავლებლის შენიშვნები" ჩაიწერება მოსწავლეების პასუხებით ჩათვლაზე ჩატარებული კონსულტაციებისა და სხვა პედაგოგიური დაკვირვებებისაგან მიღებული შთაბეჭდილებები (მაგალითისათვის მოცემულია ჩანაწერები აღნიშნული განყოფილების მიხედვით).

მესამე განყოფილებაში ხდება მასწავლებლის მიერ სხვადასხვა

სახის სამუშაოზე დახარჯული საათების ყოველთვიური აღრიცხვა-მონაცემებს ამ განყოფილების შესავსებად მასწავლებელი იღებს პირველი და მეორე განყოფილებებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მასწავლებელი აწარმოებს თავისი მუშაობის ყოველდღიურ რეგისტრირებას მისი ცალკეული სახეების მიხედვით: ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, ზეპირი ჩათვლების მიღება, წერითი ჩათვლითი ნამუშევრების შემოწმება. სტრიქონის ბოლოში მასწავლებელი აჯამებს ყველა საათს და შეაქვს ის V—VIII ან IX—XI კლასების სვეტებში და ხელს აწერს. თვის ბოლოს მასწავლებელი დაიანგარიშებს თვის განმავლობაში სასწავლო სამუშაოზე დახარჯული მთელი საათების რაოდენობას.

ყოველ დაუსწრებელ სკოლაში, დაუსწრებელ განყოფილებასა და პერიფერიულ სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში, აგრეთვე იმ რვაწლიან ან საშუალო სკოლაში, სადაც მიმაგრებულია დაუსწრებლები, შემოღებულია „დაუსწრებელი საშუალო სკოლის, დაუსწბელი განყოფილების, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მუშაობის საღრიცხვო ჟურნალი“ (დანართი 3).

ჟურნალი ექვსი განყოფილებისაგან შედგება. პირველ განყოფილებაში—„მასწავლებელთა სია“—შეიტანება სკოლაში, დაუსწრებელ განყოფილებასა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში (ჯგუფში) მომუშავე, როგორც შტატში მყოფი, ისე შეთავსებით მომუშავე მასწავლებლები.

მეორე განყოფილება—„მოსწავლეთა სია“ დგება კლასების მიხედვით სასწავლო წლის დასაწყისში. თითოეულ კლასს ეთმობა გვერდების გარკვეული რაოდენობა მოსწავლეთა რიცხვის შესაბამისად. სკოლიდან მოსწავლის გასვლის შემთხვევაში შესატყვის სვეტში აღინიშნება გასვლის თარიღი და მიზეზი.

განყოფილება—„ჯგუფური, ინდივიდუალური კონსულტაციებისა და ჩათვლების მიღების ცხრილი“ ივსება წლის ყოველ ნახევარზე სასწავლო გეგმის მიხედვით.

ყოველ უჯრედში ჩაისმება საგანი და მეცადინეობის სახე (ჯგუფური კონსულტაცია, ინდივიდუალური კონსულტაცია, ჩათვლების მიღება) კლასების მიხედვით.

განყოფილება—„მოსწავლეების მიერ სასწავლო გეგმის შესრულება 196 /196... სასწავლო წელს“ ივსება საგნის მასწავლებლის მიერ „მასწავლებლის ჟურნალის“ მონაცემების საფუძველზე. თავის დროზე შეიტანება მოსწავლეთა მიერ ჩაბარებული ჩათვლების (როგორც წერითი, ისე ზეპირი) შეფასებები, აგრეთვე წლიური, საგა-

მოცდო და საბოლოო შეფასებანი. მოსწავლეთა ჩაწერა წარმოებს კლასების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება—„მასწავლებლის მიერ დახარჯული სასწავლო დროის აღრიცხვა სამუშაოს ყველა სახეზე“ ივსება ყოველთვიურად „მასწავლებლის ჟურნალის“ მონაცემთა საფუძველზე. მე-4, მე-5, მე-6 და ა. შ. მე-15-მდე (ჩათვლით) სვეტებში ჩაიწერება მასწავლებლის მიერ დახარჯული საათების რაოდენობა ამა თუ იმ სახის მეცადინეობაზე. ჩანაწერის ბოლოს აუცილებლად უნდა იყოს მასწავლებლის ხელის მოწერა. ამ მონაცემების მიხედვით დგება დოკუმენტი დაუსწრებელი სკოლის, დაუსწრებელი განყოფილების, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის (ჯგუფის) მასწავლებელთა მიერ ხელფასის მიღების შესახებ.

ჟურნალი მთავრდება განყოფილებით—„196 /196 სასწავლო წლის მუშაობის შედეგები“. ამ განყოფილებაში ჩაიწერება მომდევნო კლასებში მოსწავლეთა გადასაყვანი მონაცემები. ქვემოთ უნდა დაისვას თარიღი და ხელმოწერა დაუსწრებელი სკოლის დირექტორის, დაუსწრებელი განყოფილების ან სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის (ჯგუფის) გამგის.

მოსწავლეთათვის დახმარების გაწევის მიზნით დაუსწრებელი სკოლა, დაუსწრებელი განყოფილება, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები აძლევს მათ „სასწავლო გეგმას—ჩათვლის წიგნაკს“ (დანართი 4). ამ დოკუმენტში ნაჩვენები უნდა იქნეს შესასწავლი მასალის შინაარსი და ჩათვლების ჩაბარების ვადები ყველა საგანში, აგრეთვე ჩათვლების მიმღებ მასწავლებლის მიერ დაწერილი ნიშნები და დაწერის თარიღი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
სკოლების სამმართველოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის
სკოლების განყოფილება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი 1

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
მოსწავლეთა საალრიცხვო წიგნი

_____ დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სასაშუალო სკოლის
_____ დაუსწრებელი განყოფილების

მოსწავლეთა აღრიცხვის წიგნი

_____ (სრული დასახელება დაუსწრებელი სკოლის, დაუსწრებელი განყოფილების)
_____ (აღრიცხვის დაწყების თარიღი)

№№ რიგზე	მოსწავლის გვარი, სახელი და მამის სახელი	დაბადების წელი და თვე	მოსწავლის მისამართი	თანამდებობა და მუშაობის ადგილი	პარტიულობა	სკოლაში შესვლის დრო და რომელ კლასში შევიდა	სკოლიდან გასვლის დრო და რომელი კლასიდან გავიდა	გასვლის მიზეზი (დაწვრილებით ვუჩვენოთ შემთხვევები, დადგენილი მიზეზები გასვლის) და თარიღი ბრძანებისა სკოლის სადმი
1	2	3	4	5	6	7	8	9

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი 2

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
მასწავლებლის ჟურნალი

განყოფილება 1

აღრიცხვა ჯგუფური კონსულტაციებისა და ცნობები ჩათვლების მიღების შესახებ

მასწავლებლის გვარი, სახელი და მამის სახელი _____
_____ კლასი _____ საგანი _____

ჯგუფური კონსულტაციების ჩატარების თარიღი / მოსწავლეთა გვარები და ინიციალები	დასწრება ჯგუფურ კონსულტაციებზე

	შეფასება მიღებულ ჩათვლებში										
	№ 1	№ 2	№ 3	№ 4	№ 5	№ 6	№ 7	№ 8	წლიური შეფასება	თარიღი	გავლილი მასალის ჩაწერა, განაკვეთების № და ჯგუფური კონსულტაციების თემები
მოსწრება											

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება 2

ინდივიდუალური კონსულტაციების, ზეპირი ჩათვლების მიღებისა და წერითი სამუშაოების შესრულების აღრიცხვა

თარიღი და თვე	აკადემიური საათების რაოდენობა	სამუშაოს სახეები	კონსულტაციაზე დამსწრე მოსწავლეთა რაოდენობა ან იმ მოსწავლის გვარი, რომელმაც მიიღო ინდივიდუალური კონსულტაცია, ჩააბარა ზეპირი ჩათვლა ან შეასრულა საკონტროლო სამუშაო	კლასი	ჩათვლის №	შენიშვნა
28. X	2	ინდივ. კონს.	5 კაცი	8	—	—
		„				
1. XI	0,5 აკ. საათი	ჩათვლის მიღება წერითი ჩათვლითი სამუშაო	პეტრიაშვილი ა. ვ. ვარდოსანიძე ვ. დ. მჭედლიძე ა. კ.	6 8 8	— 2 2	— 3 4

კონსულტაციის შინაარსი, საგანი	აღნიშვნა საკონტროლო სამუშაოს დაბრუნების შესახებ	მასწავლებლის შენიშვნები
თავსართების მართლწერა (пре, при—)		ჩემს მიერ გამოძახებული იყო მოსწავლეები
როგორ გავარჩიოთ სახელობითი ბრუნვა ბოალდებითისაგან	—	შეითვისა, განმტკიცებისათვის მიეცა სავარჯიშო
ლიტერატურა	—	ღარიბი მეტყველება
ლიტერატურა	5. XI	

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება :

სხვადასხვა სახის სამუშაოზე დახარჯული სასწავლო დროის აღრიცხვა თვეების მიხედვით

196 /196 სასწავლო წელი _____ თვე

თარიღი	კლასი	აკადემიური საათების რაოდენობა				ჩათვლების მიღება	
		ჯგუფური კონსულტაციები		ინდივიდუალური კონსულტაციები		5—8 კლ.	9—11 კლ.
		5—8 კლ.	9—11 კლ.	5—8 კლ.	9—11 კლ.		

წერითი ჩათვლითი ნამუშევრების შემოწმება		გამოცდების ჩატარება	ექსკურსიები	სულ		სულ	მასწავლებლის ხელის მოწერა
5—8 კლ.	9—11 კლ.	9—10 კლ.	9—10 კლ.	5—8 კლ.	9—11 კლ.		

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი 3

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

დაუსწრებელი საშუალო სკოლის, დაუსწრებელი განყოფილების, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მუშაობის აღრიცხვის ჟურნალი

პირველი გვერდი

სარჩევი

1. მასწავლებელთა სია . . . . . გვ.
2. მოსწავლეთა სია . . . . . გვ.
3. ცხრილი ჯგუფური, ინდივიდუალური კონსულტაციებისა და ჩათვლების მიღების . . . . . გვ.
4. სასწავლო გეგმის შესრულება მოსწავლეთა მიერ გვ.
5. მასწავლებლის მიერ დახარჯული სასწავლო დროის აღრიცხვა ყველა სახის სამუშაოზე . . . . . გვ.
6. მუშაობის შედეგები სასწავლო წლის განმავლობაში . . . . . გვ.

განყოფილება 1

მასწავლებელთა სია

№№ რიგზე	გვარი, სახელი, მამის სახელი	თანამდებ.	სქესი	დაბადების წელი	პარტიულ.	განათლება	პედაგოგიური სპეციალობა

რა საგანს ასწავლის	რომელ კლასებში აქვს ძირითადი სამუშაო	პედაგოგიური მუშაობის საერთო სტაჟი	რა დროიდან მუშაობს ამ სკოლაში, ბრძანების № და თარიღი	მინიჭებული აქვს მასწავლებლის წოდება, რომელი	ჯილდოები, პერსონალური წოდება, საშეცნიერო ხარისხი	ძირითადი სამეუფო შეთავსებით	საცხოვრებელი ბინის მისამართი	ელფოსტა, გაკვეთილის მიზნების შესრულების

შენიშვნა: ამ განყოფილებას ჟურნალში ეთმობა 3 გაშლილი გვერდი.

განყოფილება 2

მოსწავლეთა სია

№№ რიგზე	მოსწავლის გვარი, სახელი და მამის სახელი	დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი	პარტიულობა	მუშაობის ადგილი და თანამდებობა	სკოლაში შესვლის დრო

რა საბუთების საფუძველზე იქნა მიღებული	ბინის მისამართი	პირადი საქმის ნომერი	სკოლიდან გასვლის მიზეზი და დრო	შენიშვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ამ განყოფილებას ჟურნალში უნდა დაეთმოს არა ნაკლები 12—15 გაშლილი გვერდისა. გვერდზე არის არა ნაკლები 30 ჰორიზონტალური ხაზისა.

განყოფილება 3

ცხრილი ჯგუფური, ინდივიდუალური კონსულტაციებისა და ჩათვლების მიღების. 196____/196____ სასწავლო წლის _____ ნახევარი წელი.

მეცადინეობის დღეები	საათები	მეცადინეობის სახე და სასწავლო საგანი							№ რიგ.
		5	6	7	8	9	10	11	

მასწავლებელთა შორის კვირეული სასწავლო საათების განაწილება

მასწავლებლის გვარი, სახელი და მამის სახელი	საათების რაოდენობა კვირაში				სულ კვირაში
	საგანი	ჯგუფური კონსულტაცია	ინდივიდუალური კონსულტაცია	ჩათვლების მიღება	

შენიშვნა: ამ განყოფილებას ჟურნალში ეთმობა 4 გაშლილი გვერდი.

განყოფილება 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეების მიერ სასწავლო გეგმის შესრულება 196 -/196 სასწავლო წელს.

საგამოცდო წლიური—საბოლოო

№ რიგზე	მოსწავლეთა გვარი, სახელი და მამის სახელი	№ ჩათვლის №	რუსული ენა		ლიტერატ.		არითმეტიკა		ალგებრა	
			ზეპირი	წერითი	ზეპირი	წერითი	ზეპირი	წერითი	ზეპირი	წერითი
		1								
		2								
		3								
		4								
		5								
		6								
		7								
		8								

გეომეტ.		ტრიგონ.		ისტორია	პოლიტიკ. ცოდნის საფუძვლები	გეოგრაფია	ბუნებისმეტყველ.	ფიზიკა	ასტრონომია	ქიმია	ხატვა	უცხო ენა		შენიშვნა
ზეპირი	წერითი	ზეპირი	წერითი									ზეპირი	წერითი	

შენიშვნა: ამ განყოფილებას ჟურნალში უნდა დაეთმოს არა ნაკლები 50 გაშლილი ფურცლისა.

განყოფილება 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლის მიერ ყველა სახის სამუშაოზე დახარჯული სასწავ-
ლო დროის აღრიცხვა _____ თვე 196____ წ.

№ რიგზე	მასწავლებლის გვარი, სახელი და მამის სახელი	სასწავლო საგანი	ჯგუფური კონსულტაც.		ინდივიდუალური კონსულტაციები		ჩათვლების მიღება	
			5—8 კლ.	9—11 კლ.	5—8 კლ.	9—11 კლ.	5—8 კლ.	9—11 კლ.
1	2	3	4	5	6	7	8	9

ზეპირი ნამუშევრების შემოწმება IX—X კლასებში	გამოცდების ჩატარება IX—X კლასებში	მექსკურსიის ჩატარება IX—X კლასებში	სულ			მასწავლებლის ხელის მოწერა
			5—8 კლ.	9—11 კლ.	სულ	
10	11	12	13	14	15	

შენიშვნა: ამ განყოფილებას ჟურნალში დაეთმობა 12 გაშ-
ლილი გვერდი.

განყოფილება 6

196 /196 სასწავლო წლის მუშაობის შედეგები

კლასები	მეცადინეობის დაწყ. ახალ მიღებულებთან ერთად იყო სულ	მიღებული იქნა სასწ. წლის განმავლობაში	გავიდა სკოლიდან სასწ. წლის განმ-ვლობაში	ირიცხებოდა მოსწ. სასწ. წლის ბოლოსათვის	გადაყვანილ იქნა მომდ. კლასში ან დაამთავრეს სკოლა	დატოვებული იქნა მეორე წელს იმავე კლასში	გადაყვანა გადადგა
V							
VI							
VII							
სულ V—VII კლ.							
IX							
X							
XI							
სულ IX—XI კლ.							
სულ სკოლაში							

დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი
დაუსწრებელი განყოფილების გამგე
სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის (ჯგუფის) გამგე
„_____“_____196 წ.

შენიშვნა: ამ განყოფილებას ჟურნალში შეიძლება დაეთმოს 1 გვერდი.

წინადადებები მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ (ამ განყოფილებას ჟურნალში შეიძლება დაეთმოს 3 გვერდი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი 4

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

_____ დაუსწრებელი საშ. სკოლა
დაუსწრებელი განყოფილება
სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი
სასწავლო გეგმა—ჩათვლის წიგნაკი

_____

კლასის
196 /196 სასწავლო წელი
პირველი გვერდი, ზომა 16X12 სმ.

აღნიშვნა მოსწავლის გადაყვანის შესახებ მომდევნო კლასში.

მოსწავლე _____
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

გადაყვანილია _____ კლასში
196 წ.

დაუსწრებელი საშ. სკოლის დირექტორი
დაუსწრებელი განყოფილების გამგე
სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

სასწავლო გეგმა—ჩათვლის წიგნაკი

მოსწავლე _____
(გვარი, სახელი და მამის სახელი)

კლასი 196 /196 სასწ. წ.

განაკვეთების №, განაკვეთების შინაარსი	ჩათვლის მიღების ვადები	ჩათვლის მიღების თარიღის შეფასება	მასწავლებლის ერთეული ხელის მოწერა
რუსული ენა განაკვეთი № 1 სიტყვის შედგენილობა. წინადადება. წინადადების მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები და ა. შ.			

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ეს ჩანაწერი ნიმუშის სახითაა მოცემული)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
17 სექტემბერი, 1962 წ.

დებულება
საქართველოს სსრ საშუალო ზოგადსაგანმანათ-ლებლო დაუსწრებელი სკოლის შესახებ

1. ზოგადი დებულებანი

1. დაუსწრებელი საშუალო სკოლა მოწოდებულია მისცეს მოსწავლეებს ზოგადი განათლება რვაწლიანი და საშუალო სკოლის ფარგლებში, შეაიარაღოს მოსწავლეები მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე და სისტემატური ცოდნით, ხელი შეუწყოს მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას.

2. დაუსწრებელი სკოლები გაიხსნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარდგენით, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებით.

დაუსწრებელი სკოლები იმყოფებიან ქალაქისა და ოლქის განათლების განყოფილებების, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და საქართველოს სს რესპუბლიკის სამინისტროთა გამგებლობაში, რომელთაც ევალებათ ხელმძღვანელობა და კონტროლი ამ სკოლების მუშაობაზე, ხელმძღვანელი პერსონალისა და მასწავლებელთა დანიშვნა, სკოლების უზრუნველყოფა შენობებით, მოწყობილობით, სახელმძღვანელო წიგნებით, სასკოლო დოკუმენტაციით, აგრეთვე სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების ქსელის ჩამოყალიბება.

3. დაუსწრებელ სკოლას აქვს V—XI კლასები. მოსწავლეთა რაოდენობა საშუალო სკოლის ცენტრალურ საკონსულტაციო პუნქტის თითოეულ კლასში უნდა იყოს არანაკლები 20 კაცისა, ხოლო პერიფერიულ საკონსულტაციო პუნქტებში—9-დან 20 კაცამდე.

4. მოსწავლეთათვის სისტემატური პედაგოგიური დახმარე-

ბისა და ჩათვლების ჩაბარების მისაღებად ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, დაუსწრებელი სკოლა მისი მომსახურების ტერიტორიაზე საღამოს (ცვლის) და საშუალო საწარმოო-სწავლებიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ქმნის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებს. სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი იქმნება არანაკლებ 60 დაუსწრებლისათვის.

იმ შემთხვევაში, როცა დაუსწრებელთა რაოდენობა არაა საკმარისი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის შესაქმნელად, საკონსულტაციო დახმარებისა და ჩათვლების ჩასაბარებლად დაუსწრებლები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიემაგრებიან უახლოეს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებს.

შენიშვნა: არასრული საშუალო სკოლის დაუსწრებლები შეიძლება მიემაგრონ რვაწლიან სკოლებს. რვაწლიან სკოლას შეიძლება მიემაგრონ აგრეთვე IX—XI კლასის დაუსწრებლებიც, თუ კი ამ სკოლაში მუშაობენ უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებლები.

5. დაუსწრებელი სკოლები ახორციელებენ დაუსწრებელი განყოფილებების მუდმივ მეთოდურ ხელმძღვანელობას, აწყობენ თათბირებს დაუსწრებელი განყოფილების მასწავლებელთათვის კონსულტაციებისა და მუშაობის გამოცდილებათა ურთიერთ-გაზიარების მიზნით.

2. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია

6. დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო წლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 36 კვირით. სასწავლო წელი იწყება 1-ლი სექტემბრიდან და მთავრდება: V, VI, VII, IX და X კლასებში—25 მაისს; VII კლასში—10 ივნისს, XI კლასში—20 ივნისს. სასწავლო წელი იყოფა 2 ნაწილად, მათ შორის წესდება 10 დღიანი საზამთრო არდადეგები (1-დან 10 იანვრამდე).

სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების ვადებს დაუსწრებელ საშუალო სკოლებში განსაზღვრავენ საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები და ავტონომიური ოლქისა და ქალაქის განათლების განყოფილება, საწარმოში მოსწავლეთა მუშაობის კონკრეტული პირობების შესაბამისად, სასწავლო წლის დადგენილი ხანგრძლივობის შენარჩუნებით.

7. დაუსწრებელი სკოლა მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმით და ხელმძღვანელობს საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათ-

ლებლო სკოლისათვის განკუთვნილი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით.

8. დაუსწრებელი სკოლისა და მისი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი ფორმებია:

ა) დაუსწრებლებთან ჯგუფური კონსულტაციები და ჯგუფური მუშაობის სხვა სახეები (წამმართველი და მიმოხილვითი ლექციები, სამუშაოები სასწავლო კაბინეტებსა და ლაბორატორიებში და ა. შ.), რომლებიც, როგორც წესი, ტარდება მოცემული კლასის მთელ შემადგენლობასთან;

ბ) ინდივიდუალური კონსულტაციები, რომლებიც ეწყობა დამოუკიდებელ მუშაობაში დაუსწრებელთა დასახმარებლად;

გ) ინდივიდუალური ჩათვლების მიღება, რომელთა ჩაბარება აუცილებელია ყველა დაუსწრებლისათვის.

9. დაუსწრებლების ცოდნა, უნარი და ჩვევა ფასდება ხუთბალიანი სისტემით.

10. დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისათვის გათვალისწინებული დრო განისაზღვრება აკადემიურ საათებში, ამასთან ჯგუფურ კონსულტაციებზე თითოეულ კლასში გათვალისწინებულია 6 აკადემიური საათი, ინდივიდუალურ კონსულტაციებზე თითოეულ დაუსწრებელზე კვირაში საშუალოდ 1/3 აკადემიური საათი (15 წუთი), თითოეული ჩათვლის მიღებაზე— საშუალოდ 0,5 აკადემიური საათი.

შენიშვნა: თუ კლასში 9-ზე ნაკლები დაუსწრებელია, მაშინ სასწავლო საათების რაოდენობა სამუშაოს ყველა სახეზე თითოეულ მოსწავლეზე განისაზღვრება კვირაში ერთი აკადემიური საათით.

11. დაუსწრებლები, რომლებსაც არ აქვთ ჯგუფური და ინდივიდუალურ კონსულტაციებზე დასწრებისა და ჩათვლების ჩაბარების საშუალება, მასწავლებლებისაგან ღებულობენ წერილობით კონსულტაციებს, აგრეთვე თითოეულ საგანში ადგენენ წერილობით საკონტროლო სამუშაოებს მოცემულ კლასში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ჩათვლების რაოდენობის მიხედვით.

12. დაუსწრებელი სკოლები და მათი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები აწარმოებენ მუშაობას დაუსწრებელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში; მათთვის აწყობენ ლექციებსა და მოხსენებებს მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე, ხელს უწყობენ მათში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდას.

13. დაუსწრებელი სკოლების V, VI, VII, IX და X კლასების

მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადასაყვანი და VIII, XI კლასების გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი ინსტრუქციით.

შენიშვნები: 1. დაუსწრებლები, რომლებიც იღებენ კონსულტაციებს და ადგენენ საკონტროლო სამუშაოებს, გამოცდებს აბარებენ მოცემული კლასის კურსის ყველა სასწავლო საგანში.

2. გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები დაუსწრებლებს შეუძლიათ ჩააბარონ, როგორც სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში, ისე იმ სკოლაში, სადაც ისინი მიმაგრებულნი არიან.

14. რვაკლასდამთავრებული დაუსწრებლები ღებულობენ მოწმობას, რომელიც იძლევა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის ან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის გაგრძელების უფლებას, ხოლო თერთმეტკლასდამთავრებულები ღებულობენ ატესტატს, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებით.

3. სკოლის პედაგოგიური პერსონალი და სხვა მუშაკები

15. დაუსწრებელი საშუალო სკოლების ადმინისტრაციულ, პედაგოგიურ, სასწავლო დამხმარე და მომსახურე პერსონალის შტატები განისაზღვრება თითოეულ სკოლაში ცალ-ცალკე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

16. დაუსწრებელი სკოლის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავენ საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ ორგანიზატორული უნარი, უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 3 წლისა.

დირექტორი ახორციელებს სკოლისადმი ხელმძღვანელობას. იგი პასუხისმგებელია მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის, სასწავლო გეგმების, პროგრამების შესრულებისა და სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებისათვის, უზრუნველყოფს ნორმალურ მატერიალურ პირობებს სკოლის მუშაობისათვის; ღებულობს ზომებს პედაგოგიური კადრებით სკოლის სწორად დაკომპლექტებისათვის, ხელს უწყობს მათ შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებასა და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებას; წარმართავს მასწავლებელთა კოლექტივის საქმიანობას.

დირექტორი სკოლას ხელმძღვანელობს ერთმმართველობის კოლეგიალობასთან შეერთების საფუძველზე და თავის მუშაობას წარმართავს მჭიდრო კონტაქტში იმ საწარმოების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ადმინისტრაციასთან, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, რომელთაც მომსახურებას უწევს სკოლა.

17. დაუსწრებელი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ნიშნავენ საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება და თავი გამოიჩინეს როგორც კარგმა ორგანიზატორებმა და მეთოდისტებმა. სასწავლო ნაწილის გამგე პასუხს აგებს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის მდგომარეობისათვის და ახორციელებს მასწავლებელთა მუშაობაზე კონტროლსა და ხელმძღვანელობას.

18. დაუსწრებელი სკოლის მეთოდისტს ნიშნავს საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება.

მეთოდისტი ახორციელებს და კონტროლს უწევს სასწავლო-აღმზრდელობითს და მეთოდურ მუშაობას სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში, აგრეთვე იმ მოსწავლეთა მუშაობას, რომლებიც მიმაგრებული არიან რვაწლიან და საშუალო სკოლებზე კონსულტაციების მისაღებად და ინდივიდუალური წესით ჩათვლის ჩასაბარებლად, მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების გამგეებსა და ცალკეულ მასწავლებელს.

19. სკოლის დირექტორი და რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების უშუალო ხელმძღვანელობას აკისრებს სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელს. პუნქტის გამგე პასუხისმგებელია ამ პუნქტში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობაზე. ის ადგენს სასწავლო მეცადინეობის ცხრილს, ხელმძღვანელობს მასწავლებელთა კოლექტივს, მეთვალყურეობას უწევს მათ საქმიანობას და აწარმოებს ამ მუშაობის აღრიცხვას, ღებულობს ზომებს მოსწავლეთა აკადემიურად ჩამორჩენილობისა და განთესვის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე მოსწავლეთა სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით უზრუნველსაყოფად, ხელმძღვანელობს გადასაყვანი გამოცდების ჩატარებას,

დაუსწრებელი სკოლის დირექტორს უდგენს ცნობებს მასწავლებელთა ხელფასსა და დადგენილ ანგარიშგებაზე.

შენიშვნა: საშუალო და რვაწლიან სკოლებში, რომლებზეც ემაგრებიან დაუსწრებელ განყოფილებათა მოსწავლეები, როცა მათი სიმცირის გამო შეუძლებელია სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გახსნა, დაუსწრებლებთან სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ხელმძღვანელობს დირექტორი ან ამ სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი.

20. დაუსწრებელი სკოლისა და მის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების მასწავლებლებს დაუსწრებელი სკოლის დირექტორის წარდგენით ნიშნავს საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროები და ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება.

21. დაუსწრებელი სკოლის ბიბლიოთეკის გამგეს ნიშნავს სკოლის დირექტორი. ბიბლიოთეკის გამგე ხელს უწყობს მოსწავლეების უზრუნველყოფას სასწავლო წიგნებითა და ნივთებით; ის ხელს უწყობს სკოლისა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების მასწავლებლებს გაეცნონ მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას, უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის შევსებას წიგნებით და პასუხისმგებელია წიგნის ფონდის დაცვისათვის.

22. დაუსწრებელ სკოლაში, თუ მას აქვს საკუთარი შენობა, დირექტორი ნიშნავს მეურნეობის გამგეს, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის მეურნეობის მდგომარეობაზე, სასწავლო პროცესის მატერიალურ უზრუნველყოფასა და სკოლის ქონების დაცვაზე; ის პასუხს აგებს სკოლის ქონების აუცილებელ სანიტარულ და ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობისათვის.

23. დაუსწრებელი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითად საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტისათვის სკოლაში იქმნება პედაგოგიური საბჭო. პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი (თავმჯდომარე), სასწავლო ნაწილის გამგე, მეთოდისტები, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგეები, მასწავლებლები, ბიბლიოთეკის გამგე.

პედაგოგიური საბჭო ღებულობს ზომებს დაუსწრებელთა სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის, განიხილავს საკითხებს უკეთესი პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებისა და დანერგვის შესახებ, განიხილავს და ამტკიცებს სკოლისა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების გეგმებს, დირექტორის ან სასწავლო ნაწილის გამგის

ანგარიშს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგებზე, მასწავლებელთა ანგარიშებს, წყვეტს საკითხებს მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანასა და გამოშვებაზე, გამოაქვს გადაწყვეტილება მოსწავლეთა სკოლიდან გარიცხვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში ეწყობა პედაგოგიური თათბირი, რომლის შემადგენლობაში შედიან სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე, მასწავლებლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, წარმოებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები, რომლებსაც მომსახურებას უწევს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი.

პედაგოგიური თათბირი განიხილავს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმას და მისი შესრულების მიმდინარეობას, ისმენს მასწავლებელთა ანგარიშს პროგრამების შესრულებასა და მოსწრების მდგომარეობაზე, განიხილავს მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების დანიშვნისა და გამოსაშვებ გამოცდებზე დაშვების საკითხებს.

4. მოსწავლეები

24. დაუსწრებელ სკოლაში მიიღებიან მოქალაქენი 16 წლის ასაკიდან. V, VI, VII კლასებში მიიღებიან მოქალაქენი, რომლებსაც არ აქვთ მიღებული შვიდწლიანი სკოლის კურსით გათვალისწინებული განათლება, ხოლო VIII კლასში, რომელთაც აქვთ დამთავრებული 7 კლასი; IX კლასში მიიღებიან ის აირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ რვაწლიანი სკოლა ან ათწლიანი სკოლის VIII კლასი, X და XI კლასებში კი ისინი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ შესაბამისად საწარმოოსწავლებიანი ან საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის IX და X კლასები. X კლასში შეიძლება მიღებულ იქნეს აგრეთვე ათწლიანი საშუალო სკოლის ცხრაკლასდამთავრებული პირები.

დაუსწრებელ სკოლაში შემსვლელმა უნდა წარადგინოს ცნობა განათლების შესახებ, ხოლო თუ სკოლაში შემსვლელი მუშაობს, მაშინ აგრეთვე ცნობაც სამუშაო ადგილიდან.

განათლების შესახებ ცნობის უქონლობის შემთხვევაში დაუსწრებელ სკოლაში შემსვლელი ჩაირიცხება შესაბამის კლასში (გარდა XI) მისი ცოდნის წინასწარი შემოწმების შემდეგ მშობლიურ ენასა და მათემატიკაში.

დაუსწრებელ სკოლაში შესვლის მსურველთა განცხადების მიღება და მათი მოსწავლედ ჩარიცხვა ხდება 15 მაისიდან 25 ავ-

ვისტომდე. გამონაკლისის სახით ჩარიცხვა სკოლაში შეიძლება ხდებოდეს აგრეთვე სასწავლო წლის განმავლობაშიც.

25. დაუსწრებელი სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ ერთ-ერთ ღავათებით და უპირატესობებით, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ნოემბრის № 1233 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ იმავე წლის 19 დეკემბრის № 976 დადგენილებებით საღამოს (ცვლის)სეზონური და ზოგადსაგანმანათლებლო დაუსწრებელი საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის.

26. დაუსწრებელი სკოლის მოსწავლეები ვალდებულნი არიან დადგენილ ვადებში შეასრულონ გეგმით გათვალისწინებული ყველა სამუშაო და ჩააბარონ ჩათვლები. იმ დაუსწრებლებმა, რომლებსაც რაიმე საპატიო მიზეზის გამო არა აქვთ საშუალება თავის დროზე ჩააბარონ ჩათვლები, სხვა ვადებში ჩაბარების ნებართვა უნდა მიიღონ დაუსწრებელი სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგისაგან.

დაუსწრებელნი, რომლებიც თავის დროზე არ ჩააბარებენ ჩათვლებს და არ შეასრულებენ საკონტროლო სამუშაოებს აედაგოგიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად დირექტორის ბრძანებით გაირიცხებიან სკოლიდან.

27. სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის საქმეში მასწავლებელთა დახმარების გასაწევად თითოეულ კლასში მოსწავლეთა საკლასო კრებაზე ირჩევენ კლასის მამასახლისს ერთი წლის ვადით.

5. სასწავლო-მატერიალური ბაზა, დაფინანსება აღრიცხვა და ანგარიშგება

28. დაუსწრებელი სკოლები და მათი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები თავსდება იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობებში, სადაც ისინი ჩამოყალიბებულია და სარგებლობენ ამ სკოლების კაბინეტებით, სამეურნეო და სასწავლო ხელსაწყოებით.

29. დაუსწრებელი სკოლების წლიურ ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებენ საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროები, ოლქის, ქალაქის განათლების განყოფილება.

30. დაუსწრებელი სკოლები ფინანსდებიან რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქისა და ქალაქების ბიუჯეტის სახსრებით.

31. დაუსწრებელი სკოლები დაწესებული ფორმებით აწარმოებენ საქმეებს, არქივს, ფინანსურ და სტატისტიკურ ანგარიშგებას

და თავისი მუშაობის ანგარიშს პერიოდულად უდგენენ ქალაქის, ოლქის სახალხო განათლების განყოფილებას, ასსრ განათლების სამინისტროებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და ქვემდებარეებების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

32. დაუსწრებელი სკოლები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით და აქვთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ნიმუშის ბეჭედი.

33. ამ დებულების გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1956 წლის 25 სექტემბერს დამტკიცებული დაუსწრებელი სკოლის დებულება.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 7 სექტემბრის დადგენილება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 10 ოქტომბრის № 896 ბრძანება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მუსიკალური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუსიკა-სიმღერის სწავლება და კლასგარეშე მუსიკალური მუშაობა. განსაკუთრებით ითქმის ეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, გორის, თელავის, ზესტაფონისა და ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე, რომელთა ხელმძღვანელობა მუსიკალურ აღზრდას მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება.

მუსიკალური აღზრდის გაუმჯობესებას სკოლებში დიდად შეუწყო ხელი სახელმწიფო ასიგნობების მნიშვნელოვანმა გადიდებამ, მუსიკაში კლასგარეშე მუშაობის ხელმძღვანელობისათვის საშტატო-საგანაკვეთო სისტემის დაწესებამ, მუსიკა-სიმღერის კვალიფიცირებულ მასწავლებელთა რიცხვის ზრდამ, მუსიკის ახალმა პროგრამებმა და სახელმძღვანელოებმა. ამავე მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ მუშაობამ, რასაც ატარებს თბილისის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის მუსიკალური სექცია და იმ ნაყოფიერმა დახმარებამ, რასაც სკოლებს უწევს საქართველოს საგუნდო და ქორეოგრაფიული საზოგადოება.

სიმღერა-მუსიკის სწავლების საქმეში სანიმუშო მაჩვენებლებს აღწევენ ქ. თბილისის პირველი, მე-5, მე-10, 47-ე, ქუთაისის პირველი და მეორე, ბათუმის მესამე, ცხინვალის პირველი, თელავის მე-3 საშუალო სკოლები და რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ზოგიერთი სხვა სკოლები. ამასთან ერთად რესპუბლიკის მრავალ სკოლაში მუსიკა-სიმღერის სწავლება ყველა კლასში მინდობილი აქვს კვალიფიციურ მასწავლებლებს, სკოლები უზრუნველყოფილნი არიან ფორტეპიანოთი და სხვა აუცილებელი საკრავებით, ზოგიერთ მათგანში კარგად არის მოწყობილი მუსიკალური

კლას-კაბინეტები; მასწავლებლები დიდი ყურადღებით ეკიდებიან პროგრამის ყოველ განყოფილებას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სანოტო ანბანის შესწავლას და კლასიკური მუსიკალური მემკვიდრეობის სწორად ათვისებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკალური აღზრდის გაუმჯობესებაში დიდ როლს ასრულებს კლასგარეშე საგუნდო მუშაობა, რომელიც ბევრ საშუალო-სკოლაში თანდათანობით მყარსა და სწორ ნიადაგზე დგება. ქ. თბილისის სკოლებში საგუნდო მუსიკალური მუშაობის ხელმძღვანელებად მიზიდული არიან ვ. მაღრაძე, ვ. ჭუმბურიძე, შ. ჯოჯუა, ს. იაშვილი, ი. პრიახინა, ზ. ცაბაძე და სასკოლო მუსიკალურ-საგუნდო საქმის კარგად მცოდნე სხვა კვალიფიციური სპეციალისტები; მნიშვნელოვანი ნაბიჯებია ამავე მიმართულებით გადადგმული აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავში, თელავში, გორში და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა ქალაქში. საგუნდო-მუსიკალური მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას, თავის მხრივ, დიდად უწყობს ხელს მომღერალთა გუნდების ყოველწლიური დათვალიერება, რაც ბევრ ქალაქსა და რაიონში ორგანიზებულად ტარდება.

მოსწავლეთა მუსიკალური კულტურის ამაღლებაში დიდი წვლილი შეაქვს უკანასკნელ წლებში სკოლებთან ჩამოყალიბებულ მუსიკალურ ჯგუფებს, რომელთა ქსელი ყოველწლიურად იზრდება. 1961—1962 სასწავლო წლის ბოლოსათვის ასეთი ჯგუფები უკვე არსებობდა ქ. თბილისის 47-ე სკოლასთან, მაშინ როცა ისინი 1959—60 სასწავლო წლისათვის ქ. თბილისის მხოლოდ ათიოდ სკოლასთან •ყო ორგანიზებული. ამავე დროისათვის მარტო თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუსიკალურ ჯგუფებში მუშაობდა 630 სპეციალისტი და სწავლობდა 5000-ზე მეტი მოსწავლე. მთელ რიგ სკოლებში გარდა ფორტეპიანოსი ისწავლება დაკვრა აგრეთვე ვიოლინოზე, კლარნეტზე, ფლეიტაზე, საყვირზე და სხვა საკრავებზე. 1960—62 სასწავლო წლებში მუსიკალური ჯგუფები გაიხსნა ქუთაისის, ბათუმის, გორის, თელავის, ზესტაფონისა და ბევრი სხვა ქალაქის სკოლებთან და აგრეთვე ლილოში, წინანდალში და ზოგიერთ სხვა სოფელში.

მაგრამ მუსიკალური აღზრდის საქმე, რესპუბლიკის მრავალ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული და იმ ამოცანებს ვერ პასუხობს, რაც დგას მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის წინაშე. ძირითადი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დიდ ნაწილში მუსიკალური აღზრდა პრიმიტიულ ხასიათს

ატარებს, ვერ აძლევს მოსწავლეებს აუცილებელ მუსიკალურ ცოდნა-ჩვევებს და ვერ უზრუნველყოფს მათში მაღალი მხატვრული გემოვნების აღზრდას. ამასთან, რესპუბლიკის ბევრი სოფლის დაწყებით კიდებელ დაწყებით სკოლაში მუსიკალური მუშაობა საერთოდ ვერ წარმოებს, მაშინ როცა ამ საქმეს საფუძველი სწორედ დაწყებით კლასებში უნდა ეყრებოდეს.

ამის შედეგად სკოლათა დიდ ნაწილში ძალზე დაბალია მოსწავლეთა მუსიკალური განათლების დონე, მათი დიდი უმრავლესობა ვერ ფლობს არა თუ სანოტო ანბანს, არამედ მარტივის სახითაც კი არ აქვს განვითარებული მუსიკალური სმენა, რიტმი და მეხსიერება. ბავშვები მონოტონურად და დუნედ მღერიან ერთფეროვან სიმღერებს, რომლებიც ძალიან ხშირად აღებულია მოზრდილთა ისეთი სასიმღერო რეპერტუარიდან, რომელიც ხელს უშლის ბავშვებში მუსიკალური გემოვნების სწორად ფორმირებას. კვალიფიციური ზედამხედველობისა და კონტროლის მიზეზით თანმიმდევრული მუშაობა საბავშვო ქორეოგრაფიაში შეცვლილია მოზრდილთა თვითმოქმედი ქორეოგრაფიული კოლექტივების რეპერტუარიდან უცვლელად გადმოტანილი, პედაგოგიურად დაბალი ღირებულების მქონე, მოსწავლეთა ასაკისათვის შეუფერებელი, ფიზიკურად ძალზე ძნელად შესასრულებელი ცეკვებით.

დასახელებულ ნაკლოვანებათა ძირითადი მიზეზია მუსიკა-სიმღერის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების, რომელთა მომზადების სისტემა ჯერ კიდევ არაა სრულყოფილი, სიმცირე. მართლაც, დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დიდ ნაწილს ელემენტარული მუსიკალური განათლებაც არა აქვს; ბევრ მათგანს ამასთან არა აქვს განვითარებული მუსიკალური სმენა და არ შეუძლია სწორად შეასწავლოს მოსწავლეებს თუნდაც მარტივი საბავშვო სიმღერებიც კი. კვალიფიციური მუსიკალური კადრებით უზრუნველყოფილი არაა აგრეთვე ბევრი რვაწლიანი და საშუალო სკოლების V—VI კლასები სოფლად და მათი ერთი ნაწილი ქალაქადაც. თვით ქალაქ თბილისშიაც კი, სადაც სათანადო ცენზის მქონე მუსიკის სპეციალისტთა შერჩევის ფართო შესაძლებლობაა, ზოგიერთ სკოლაში მუსიკას ასწავლიან შეუფერებელი მასწავლებლები. ასეთი სკოლების რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, 53-ე სკოლა, რომლის V—VI კლასებში მუსიკის სწავლება მინდობილი აქვს ფიზკულტურის მასწავლებელს; სუსტად არიან დაუფლებული საგანს აგრეთვე მე-60 და 69-ე საშუალო სკოლების მუსიკის მასწავლებლები, ხოლო 65-ე და 84-ე საშუალო სკოლებში მუსიკის გაკვეთილები სისტემატურად ცდება, რადგან ამ სკოლებში მასწავლებ-

ლად მოწვეული ფილარმონიის სოლისტები ხშირად არიან ქალაქ-გარეთ მივლინებულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ნაკლოვანებებით ხასიათდება, კერძოდ, საგუნდო-მუსიკალური მუშაობაც. სკოლების საკმაოდ დიდ ნაწილში ბავშვები არაა დაჯგუფებული ასაკის მიხედვით, მას აკლია აკადემიურობა და კუსტარულად ტარდება, ნაკლებად ჩანს ზრუნვა, რათა იგი აყვანილ იქნეს მაღალ დონემდე. ჯერჯერობით არ არის დამუშავებული მომღერალთა გუნდებისათვის დიფერენცირებული სასწავლო პროგრამები, არაა დაბეჭდილი სიმღერების კრებულები და სკოლებში დანერგილი არ არის უთანხლებო სიმღერა (ა კაპელა). სკოლების დირექტორების საგრძნობ ნაწილს ჯეროვნად არ აქვს გათვალისწინებული საბავშვო გუნდური სიმღერების მნიშვნელობა მოსწავლეთა საერთო კულტურისა და მხატვრული გემოვნების ფორმირების საქმეში. ამასთან, ზოგ სკოლაში მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელებად აყვანილი არიან არასპეციალისტები. მაგალითად, თბილისის 48-ე საშუალო სკოლაში საგუნდო საათები დრამწრის ხელმძღვანელს აქვს გადაცემული, 33-ე და 53-ე საშუალო სკოლებში გუნდების ხელმძღვანელობა აგრეთვე არაკვალიფიციურ პირებს აქვთ მინდობილი, ხოლო 69-ე საშუალო სკოლაში მომღერალთა გუნდი საერთოდ არ არსებობს. საქმისათვის განსაკუთრებული ზიანი მოაქვს იმასაც, რომ ბევრ სკოლაში მომღერალთა გუნდების ორგანიზებას ხელს კიდებენ მხოლოდ ოლიმპიადებისა და დათვალიერებების წინა დღეებში.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება სასკოლო მუსიკალური ჯგუფების მუშაობა. დღემდე არაა დამუშავებული ამ ჯგუფებისათვის მყარი პროგრამები. არსებული მუსიკალური ჯგუფების დიდ უმრავლესობას ჯერ კიდევ არ აქვს მტკიცე სასწავლო ბაზა: ჯგუფებში სივიწროვეა, აკლიათ საკრავები, ბევრგან საკრავები აუწყობელია, არ არის აუცილებელი დოკუმენტაცია (ჟურნალები, დღიურები, ნიშნების ფურცლები, პირადი საქმეები და სხვ.). განსაკუთრებით დიდ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი სასკოლო-ქორეოგრაფიული მუშაობის ხაზით, რაც პირველყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ დღემდე დაახლოებითაც კი არ არის განსაზღვრული ქორეოგრაფიული მუშაობის ფარგლები, სახეები და შინაარსი საშუალო სკოლის მოსწავლეთა ცალკეული ასაკების მიმართ. ამასთან ერთვის ისიც, რომ განათლების ადგილობრივი ორგანოები სავსებით არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ ქორეოგრაფიული წრეების საქმიანობას და სკოლების საკმაოდ დიდ ნაწილში ამ წრეების ხელმძღვანელობა მინდობილი აქვთ ისეთ პირებს, რომ-

ლებიც მოსწავლეთა ზრდის თავისებურებაში გარკვეული არ არიან. ცეკვების გარეგნული ეფექტით კმაყოფილდებიან და ბავშვებს ზმირად შეუფერებელ რიტმსა და საცეკვაო ილეთებს ახვევენ თავზე. ამასთან, დღემდე არაა დადგენილი ქორეოგრაფთა შრომის ანაზღაურების მტკიცე წესი, რის გამოც ცალკეული პირები ქორეოგრაფთა წრიდან სკოლებში მუშაობას იოლი შემოსავალის წყაროდ ხდიან.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მუსიკა-სიმღერის სწავლებისა და კლასგარეშე მუსიკალურ-ქორეოგრაფიული მუშაობის არსებითად გაუმჯობესების მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლების სამმართველომ პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ მასწავლებელთა, საქართველოს საგუნდო და ქორეოგრაფიული საზოგადოების აქტივისა და სიმღერა-მუსიკის მასწავლებლებთან ფართო კონტაქტისა და კონსულტაციის საფუძველზე:

ა) შეადგინოს და 1962—63 და 1963—64 სასწავლო წლებიდან უზრუნველყოს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების I—VI კლასები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული მუსიკალური ჯგუფების ყველა კლასები და სასკოლო მომღერალთა გუნდები ახალი სტაბილური პროგრამებით;

ბ) უმოკლეს ვადაში დაამუშაოს მეთოდური წერილი სიმღერა-მუსიკის სასკოლო კაბინეტის მოწყობის შესახებ, მისი ტიპიური დგამ-ავეჯის, მუსიკალური საკრავების, სანოტო დაფისა და სხვა აუცილებელი მოწყობილობისა და დიდაქტიკური მასალების აღწერით;

გ) დაადგინოს სასკოლო ქორეოგრაფიის რეპერტუარი ცალკეული ასაკების მიხედვით (უმცროსი, საშუალო, უფროსი სასკოლო ასაკები) და მასში საპატიო ადგილი დაუთმოს მასობრივ საბავშვო ცეკვებს საგუნდო სიმღერის თანხლებით;

დ) სამმართველოსთან მოაწყოს მუსიკალური აღზრდის რესპუბლიკური სექცია, ამ სექციის წევრებად შეარჩიოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და საუკეთესო პრაქტიკოსი მასწავლებლები.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუსიკა-სიმღერის მასწავლებელთა სასკოლო მუსიკალური და ქორეოგრაფიული გუნდებისა და წრეების ხელმძღვანელთა პირადი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით:

ა) დაწესდეს, რომ მომავალში სიმღერა-მუსიკის მასწავ-

ლებლები, მომღერალთა გუნდის და ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელები დაინიშნებიან მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქებისა და რაიონების საკავშირო-კაცო კომისიების რეკომენდაციის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიების შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ:

ქ. თბილისში—საქალაქო განათლების განყოფილების გამგე (თავმჯდომარე) სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენელი, საგუნდო და ქორეოგრაფიული საზოგადოების წარმომადგენელი, თბილისის პედაგოგიური კაბინეტის წარმომადგენელი;

ავტონომიურ რესპუბლიკებში—განათლების მინისტრი (თავმჯდომაოე), მუსიკალური ტექნიკუმის წარმომადგენელი, საგუნდო და ქორეოგრაფიული საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენელი, პედაგოგიური კაბინეტის წაომომადგენელი;

საქართველოს სსრ დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებში—საქალაქო, რაიონული განათლების განყოფილების გამგე (თავმჯდომარე), მუსიკალური სასწავლებლის, ან სკოლის, საგუნდო ქორეოგრაფიული საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებებისა და პედაგოგიური კაბინეტის წარმომადგენლები.

ა) ნება დაერთოს ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს სიმღერა-მუსიკის გაკვეთილები III, IV კლასებში გადასცენ მუსიკალური ცენზის მქონე V—VI კლასების მუსიკა-სიმღერის მასწავლებლებს ან მომღერალთა გუნდების კვალიფიციურ ხელმძღვანელებს, მაგრამ იმგვარად, რომ ამასთან დაკავშირებით დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დატვირთვა შემცირებული არ იქნეს;

ბ) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა 1963 წლიდან უფრო მეტი რაოდენობით გადაამზადოს მუსიკა-სიმღერის მასწავლებლები და ამავე დროიდან ყოველწლიურად მოაწყოს სასკოლო მუსიკალური და ქორეოგრაფიული გუნდების ხელმძღვანელების გადასამზადებელი კურს-სემინარები.

გ) ყველა ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების პედაგოგიურ კაბინეტთან მოეწყოს მუსიკალური აღზრდის საქალაქო და რაიონული სექციები და მათ ხელმძღვანელებად შერჩეულ იქნან სასკოლო მუსიკალური საქმის კარგად მცოდნე და ენერგიული მუშაკები;

დ) პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა ფართო პროგრამით გაითვალისწინოს პედაგოგიურ კითხვაში მუსიკის მასწავლებელთა ჩაბმა და ორგანიზებული ხასიათი

მისცეს რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე მუსიკალური აღზრდის სექციის მუშაობას.

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ სკოლების სამმართველოსთან ერთად უზრუნველყოს სკოლები ქორეოგრაფიული წრეების დებულებით, რომლითაც მტკიცედ განსაზღვროს ამ წრეებში მომუშავე ქორეოგრაფთა შრომის ანაზღაურების წესი.

4. მომარაგების და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ საჭირო ზომები მიიღოს კლავიშიანი და სკოლებისათვის აუცილებელი სხვა საკრავების ფონდების გასადიდებლად, დროულად აწარმოოს მათი ათვისება და ამასთან სკოლები მოამარაგოს მუსიკა-სიმღერის ნორმალურად სწავლებისათვის აუცილებელი ხელსაწყოებითა და დიდაქტიკური მასალებით.

მანვე უზრუნველყოს სკოლები მუსიკალური ჯგუფებისათვის საჭირო დოკუმანტაციით (ჟურნალები, დღიურები, ნიშნების ფურცლები და სხვა) სკოლების სამმართველოს მიერ დამტკიცებული ნიმუშების მიხედვით.

5. სახელმძღვანელოების განყოფილებამ პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეწვეობით დაამუშაოს და უახლოეს დროის განმავლობაში გამოსაცემად გაამზადოს მუსიკა-სიმღერის სახელმძღვანელოები V და VI კლასებისათვის და საგუნდო სიმღერების სამი კრებული: უმცროსი, საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის.

6. დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმა:

ა) უზრუნველყონ სიმღერა-მუსიკის სწავლებისათვის აუცილებელი კლავიშიანი და სხვა დასაკრავი ხელსაწყოებით და ქმედითი ზომები მიიღონ საიმისოდ, რათა პირველი შესაძლებლობისთანავე სკოლებში მოწყობილ იქნეს მუსიკის კლას-კაბინეტები;

ბ) მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მუსიკა-სიმღერის მასწავლებლებსა და გუნდის ხელმძღვანელებს ყოველდღიურ მუშაობაში და მუსიკალური აღზრდის ამოცანების გარშემო მტკიცედ დარაზმონ მასწავლებელთა კოლექტივები;

გ) მიაღწიონ იმას, რომ სიმღერა-მუსიკის გაკვეთილები და მუსიკალური გუნდებისა და ქორეოგრაფიული წრეების მეცადინეობა იწყებოდეს სასწავლო წლის დასაწყისიდანვე და მთავრდებოდეს სასწავლო წლის ბოლოს, სასკოლო ცხრილისა და წინასწარ ზუსტად დამუშავებული, დირექტორის მიერ დამტკიცებული კლასგარეშე მუშაობის განრიგის საფუძველზე;

დ) აღმოფხვრან ერთფეროვნება მომღერალთა გუნდების მუშაობაში და ყოველწლიურად უზრუნველყონ თითოეულ გუნდში 8—10-მდე ახალი სიმღერის შესწავლა;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კლავიშიანი საკრავების აწყობასა და მოვლას; დროულად გააფორმონ სათანადო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებანი საკრავების აწყობასა, რეგულირებასა და გაწმენდაზე ყოველ კვარტალში ერთხელ;

ვ) სიმღერა-მუსიკისა, საგუნდო და ქორეოგრაფიული მუშაობის საკითხი პერიოდულად განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი ამ მხრივ არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;

ზ) შეავსონ სკოლის ბიბლიოთეკა მუსიკალური ლიტერატურით.

7. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა.

ა) ქმედითი ზომები განახორციელონ სკოლების დაკომპლექტების მიზნით კვალიფიციური მუსიკის მასწავლებლებით, მომღერალთა გუნდებისა და ქორეოგრაფიული წრეების ხელმძღვანელებით და იზრუნონ იმისათვის, რათა მათ მუშაობის ნორმალური პირობები ჰქონდეთ შექმნილი;

ბ) ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ მუსიკალური აღზრდისათვის სკოლებში აუცილებელი სასწავლო-ნივთიერი ბაზის მოწესრიგებას, სკოლების უზრუნველყოფას მუსიკალური საკრავებით და სხვა აუცილებელი ხელსაწყოებით და დიდაქტიკური მასალებით;

გ) მიიღონ საჭირო ზომები მუსიკალური ჯგუფების გასახსნელად განსაკუთრებით სოფლად არსებულ საშუალო სკოლებთან;

დ) კატეგორიულად აღკვეთონ სიმღერა-მუსიკის გაკვეთილების გამოყენება სხვა დანიშნულებით და საგუნდო მუშაობისათვის გამოყოფილი ასიგნობანი ხარჯონ მხოლოდ ამ საჭიროებისათვის;

ე) გეგმიანად და ორგანიზებულად ჩაატარონ მომღერალთა გუნდებისა და მუსიკალური ჯგუფების ყოველწლიური დათვალიერება და იზრუნონ იმისათვის, რომ ეს ღონისძიება მასობრივ ხასიათს ატარებდეს;

ვ) პედაგოგიურ კაბინეტებთან შექმნან მუსიკალური აღზრდის სექციები, გააერთიანონ მათში მოწინავე მუსიკალური ძალები და მათი მეშვეობით უზრუნველყონ სკოლებში მუსიკალური აღზრდის საქმეზე ოპერატული ხელმძღვანელობის განხორციელება;

ზ) განათლების საბჭოს სხდომებზე პერიოდულად განიხი-

ლონ სკოლებში მუსიკალური აღზრდის საკვანძო საკითხები და ამ დარგში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სასკოლო სამმართველომ პერიოდულად შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და საკითხი განსახილველად გამოიტანოს განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 3 აგვისტოს კოლეგიის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ბრძანება № 620—გორის, ზესტაფონის, გურჯაანის, ორჯონიკიძისა და ლენინგორის რაიონებში მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ 3
2. ბრძანება № 634—1962 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების შესახებ 6
3. ბრძანება № 640—საქართველოს სსრ განათლებას სამინისტროს თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 9
4. სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს დებულება 15
5. გარდამავალი სასწავლო გეგმა მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლების IX—XI კლასებისათვის (1962—1963 სასწავლო წელი) 21
6. მითითებანი საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ 27
7. ბრძანება № 688—სკოლა-ინტერნატების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი შენახვის სახსრების უფრო მომჭირნეობით ხარჯვის ზომების შესახებ 31
8. ბრძანება № 689—სკოლა-ინტერნატებზე მიმაგრებული ამხანაგების მიერ წარმოდგენილი მასალების განხილვის შედეგების შესახებ 35
9. ბრძანება № 718—ნორჩ მათემატიკოსთა მე-6 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ 43
10. ბრძანება № 753—ზოგადსაგანმანათლებლო დაუსწრებელი საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა მედლებით დაჯილდოების შესახებ 51
11. მიმართვა № 470—დაუსწრებელ სკოლებსა და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დაუსწრებელ განყოფილებებში პირველადი აღრიცხვის ერთიანი ფორმების შესახებ 52
12. დებულება საქართველოს სსრ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო დაუსწრებელი სკოლის შესახებ 69
13. ბრძანება № 896—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მუსიკალური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 78

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/XI-62 წელი. ანაწყობის ზომა 6X10. ქაღალდის ზომა 60X84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5,5.

ფასი 10 კაპ.

შეკ. 816 ტ. 5000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.

Типография Министерства просвещения Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе, № 19.